აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№74 (24.954) შაბათი, 16 - 18 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს, საღამოსა და ღამის საათებში, მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ კარლ ჰარცელთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა. საუბრისას აღინიშნა ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი და ორმხრივი ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭება ისტორიული გადაწყვეტილება იყო და ამით ევროპულმა საბჭომ და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაადასტურეს, რომ საქართველოს მომავალი ევროკავშირშია.

* * *

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციის მიმართვა გაითვალისწინა და რიგგარეშე სესია მოიწვია. შესაბამისი განკარგულება პარლამენტში შევიდა. რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე პრეზიდენტს 46-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მიმართა, მათი მოთხოვნის გათვალისწინებთ, სესია 18 ილისიდან არის მოწვეული. პრეზიდენტმა მოუწოდა როგორც ოპოზიციას, ასევე უმრავლესობას, სრულად ჩაერთონ პარლამენტის საქმიანობაში.

* * *

ფარული მოსმენების საკითხი არის შეშფოთების სფერო ყველა ჩვენგანისთვის, რომლებსაც საქართველოში თავისუფალი საზოგადოების ხილვა გვსურს, სადაც ადამიანები არ უნდა ღელავდნენ ფარული მიყურადების გამო, - ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა ჟურნალისტების საუბრის ამსახველი ფარული აუდიოჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, მედიის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია შეერთებული შტატებისთვის.

* * *

პარტია „დროამ“ სანქციების თემაზე კოორდინაციის მიზნით, ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. როგორც „დროას“ ლიდერმა ელენე ხოშტარიამ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანია კომპლექსური მუშაობა და შესაბამისად, საჭიროა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა როლები გაინაწილონ.

* * *

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო მიყვება იმ პროტოკოლს, რომლის თანახმად, დამატებითი „ბუსტერ“ დოზა დასაშვებია 50 წელს ზევით და ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის, ასევე - სამედიცინო პერსონალისთვის, - განაცხადა მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ. მისი თქმით, გამონაკლისის სახით, მეორე „ბუსტერ“ დოზით ვაქცინაცია, ასაკის მიუხედავად, დასაშვებია მათთვის, ვინც საზღვარგარეთ მიემგზავრება და დამატებით „ბუსტერ“ დოზას მიმღები ქვეყანა ითხოვს.

მოამზადა
ია შველიძემ

სარაგბო კლუბი „ბათუმი“ რაგბის ევროპის სუპერთასის ტურნირზე იასპარეზებს

ბათუმს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სპორტული სიახლე აქვს - საქართველოს ჩემპიონი, სარაგბო კლუბი „ბათუმი“ რაგბის ევროპის სუპერთასის 2022-23 წლების ტურნირში ითამაშებს

ამ სასიხარულო ინფორმაციას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე გამოეხმაურა და სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა: „ბათუმი გამარჯვების ქალაქია! კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სპორტული სიახლე ბათუმს - საქართველოს ჩემპიონი, სარაგბო კლუბი „ბათუმი“ ევროპის რაგბის სუპერთასის ჩემპიონატზე იასპარეზებს. ბათუმს, ქართულ სარაგბო ოჯახს და მთელ საქართველოს ვულოცავ ამ დიდ აღიარებას!“

ბათუმის მერია განაგრძობს კლუბის მხარდაჭერას, რათა „ბათუმმა“ ევროტურნირებზე წარმატებით იასპარეზოს, ღირსეულად წარმოაჩინოს ქართული რაგბის სახელი საერთაშორისო მასშტაბით, - ამის შესახებ აღნიშნულია წერილში, რომელსაც ბათუმის მერი ავრცელებს:

„ვულოცავ ჩვენს ქალაქსა და ქართული რაგბის დიდ ოჯახს უდიდეს წარმატებას. ბათუმს უკვე აქვს ევროპის სპორტის ქალაქის ტიტული და მსგავსი მნიშვნელობის ღონისძიებების გამართვა ჩვენი ქალაქის პოტენციალს კიდევ უფრო გაძლიერებს. მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ მინდა ვაცნობო ჩვენს თანაქალაქელებს - არგენტინის ეროვნული ნაკრები გეგმავს, მსოფლიო ჩემპიონატის წინ საწვრთნელი შეხვედრა ბათუმში ჩაატაროს. ბათუმისთვის, როგორც სპორტის ქალაქისთვის, ეს კიდევ ერთი უდიდესი წარმატება და აღიარებაა. აღსანიშნავია, რომ ბათუმში, 10 ივლისს „ბორჯღალოსნებმა“ იტალიასთან ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. აღნიშნულ მატჩზე, „ექვსი ერის ჩემპიონატში“ საქართველოს ჩართვაზე დაწერეს მსოფლიოს გავლენიანმა გამოცემებმა. სტატიებში ყურადღებაა გამახვილებული ბათუმში არსებულ მიმზიდველ გარემოზე და ბათუმზე, როგორც რაგბისთვის შესაფერის ქალაქზე. როგორც Daily Mail-ის კორესპონდენტი აღნიშნავს, ბათუმმა, რომელსაც შავი ზღვის ლას ვეგასს ეძახიან, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და საგრძნობლად განვითარდა. ევროპის სუპერთასის მატჩების ბათუმში ჩატარება კიდევ უფრო პოპულარულს გახდის ბათუმს როგორც ტურისტულ რუკაზე, ისე სპორტული ტურიზმის თვალსაზრისით“.

კლუბს ამ სასიხარულო და მნიშვნელოვან წარმატებას ულოცავს რაგბის კავშირის პრეზიდენტი სოსო ტყემალაძე: „ვულოცავ „ბათუმს“ დიდ აღიარებას - რაგბიში ევროპის სუპერთასის ჩემპიონატზე მიწვევას. ეს დიდი სიხარულია მთელი ქართული სარაგბო ოჯახისთვის, გულშემატკივრების, მედიის, მთავრობისა და რაგბის მეცენატ ბიძინა ივანიშვილისთვის. მსგვალი სპორტული ტურნირების მასპინძლობით ბათუმი სპორტის დედაქალაქის სტატუსს იძენს, რაც მის ტურისტულ პოტენციალს კიდევ უფრო მძლავრად წარმოაჩენს. ამის დასტურია ისიც, რომ როგორც არგენტინის ეროვნული ნაკრებიდან მაცნობეს, აპირებენ, მსოფლიო ჩემპიონატის წინ საწვრთნელი შეკრება ბათუმში გაიაროს. აჭარას, მთლიანად საქართველოს, ყველას, ვისაც ქვეყნის წარმატება უხარია, ვულოცავ რაგბიში მიღწევებს. ერთად დავდოთ ლელო ყველა ასპარეზზე“.

საქართველოს ჩემპიონს ევროტურნირში ჩართვა მიულოცა საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ბაჩო ხუროციძემ: „დიდი მადლობა რაგბი ევროპას, რომელმაც დაგვაფასა როგორც მოწინავე სარაგბო ერი და ლიდერი ევროპის მეორე ეშელონის ქვეყნებს შორის და მიუხედავად იმისა, რომ სუპერთასში ჩართვა არაერთ ქვეყანას სურდა, არჩევანი საქართველოს ჩემპიონზე შეაჩერა. ეს ქართული რაგბის დიდი პრესტიჟია, თავად კლუბისთვის, ევროთასებში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, „ბათუმი“ ღირსეულად იასპარეზებს ამ ტურნირში. ვულოცავ ბათუმელებს ამ დაფასებას“.

1969 წელს დაარსებულმა „ბათუმმა“ დინამოარენაზე გამართულ ფინალურ შეხვედრაში „ყოჩები“ 23:14 დაამარცხა და 2022 წლის საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სუპერთასის ახალი სეზონი სექტემბერში დაიწყება და მასში კიდევ ერთი ქართული გუნდი - „შავი ლომი“ ითამაშებს. შავიზღვისპირელები აღმოსავლეთ კონფერენციის ჯგუფში „შავი ლომის“, ისრაელის „თელავივ ჰითის“ და რუმინული ფრენჩაიზის „ვულვზის“ წინააღმდეგ ითამაშებენ. ეს ტურნირი პირველად გასულ წელს გაიმართა და მისი გამარჯვებული პირველი ქართული პროფესიონალური ფრენჩაიზი „შავი ლომი“ გახდა.

ელენე საყვარელიძე

გიორგი კობერიძე: უკრაინაში წყდება არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოების, არამედ მსოფლიო წესრიგის ბედიც

3

ომარ ტაკიძე: ვიმედოვნებთ, რომ «შუახევობის» წლევანდელ ზეიმს კეთილმოწყობილ არენაზე გავმართავთ

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი იწყებს პროექტს „მდგრადი მესაქონლეობის პროდუქტიულობის ზრდისა და ბაზრის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა საქართველოში“

პროექტის განხორციელების მიზნით, ჩეხურ ორგანიზაციასა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ და ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში მისიის ხელმძღვანელმა იან ბლინკამ მოაწერეს ხელი.

პროექტის ფარგლებში, ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები გაივლიან ტრენინგებს თანამედროვე მეხორცულ მესაქონლეობაში, მდგრადი და პროდუქტიული მესაქონლეობის პრაქტიკის დანერგვასა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებაში. პარალელურად, კონკურენტული საგრანტო სქემის მეშვეობით, პროექტი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო მექანიზმებისა და სხვა დამხმარე ნივთების შეძენას. მისი მთლიანი ბიუჯეტი 400 000 ევროა.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაერთვება პროექტის პოტენციური ბენეფიციარების იდენტიფიცირების პროცესში, გაუწევს დახმარებას პროექტის განმახორციელებელ გუნდსა და ექსპერტებს, ასევე, ჩაერთვება საგრანტო პროგრამის პრიორიტეტების შემუშავების პროცესში. პროექტი 2-წლიანია და დასრულდება 2024 წლის სექტემბერში.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში 2008 წლიდან საქმიანობს. 2015 წლამდე პროექტები ძირითადად ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდებოდა. 2015 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის (CCRG) წარმომადგენლობა საქართველოში ოფიციალურად დარეგისტრირდა („ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველო“ სახელწოდების ქვეშ - CCRG) და თანამშრომელთა პროფესიონალური გუნდი შეიქმნა. მას შემდეგ ჩეხეთის კარიტასი საქართველოში ფოკუსირებულია არა მხოლოდ ჯანმრთელობის და სოციალური ზრუნვის საკითხებზე, არამედ სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების და ბუნებრივი რესურსების მართვაზე.

ანკა ჩხიკვაძე

მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციას ითხოვენ

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

ქობულეთში, სოფელ ბობოყვათში, მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, მოსახლეობა მთავრობასთან შეხვედრას ითხოვს

ამ მიზნით, ადგილობრივები გუშინ უფლებადამცველთან ერთად შეიკრიბნენ და თავიანთი მოთხოვნები დააფიქსირეს. ბობოყვათის ტერიტორიაზე, ზღვის სანაპირო ზოლთან ახლოს, მიწის ნაკვეთებს მოსახლეობა წლების განმავლობაში ამუშავებდა. როგორც ისინი ჩვენთან ყვებიან, საბჭოთა კავშირის პერიოდში მიწები ჩამოართვეს, თუმცა მათი მმართველობის დაშლის შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით განაგრძნეს მიწების გამოყენება. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, მოსახლეობას ისევ ჩამოართვეს ნაკვეთები.

- ჩვენი მიწები უნდა დაგვბრუნებოდა, ასეთი იყო მოლოდინი და ხელისუფლების დაპირებაც. გვაქვს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ ჩვენი წინაპრები და ჩვენ ამ მიწას ვამუშავებდით. ვითხოვთ ფულად კომპენსაციას, - ამბობენ სოფელ ბობოყვათში მცხოვრებლები.

როგორც უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე ამბობს, კიდევ ერთი აუქციონია დაგეგმილი აღნიშნულ მიწებთან დაკავშირებით.

- არავის სურს ხელი შეუშალოს რეგიონის განვითარებას და აღნიშნული ტერიტორიის გალამაზებას, თუმცა მოვითხოვთ, ხალხს დაელაპარაკონ. 10-დღიან ვადას ვაძლევთ იმისათვის, რომ ინვესტორი შეხვდეს, მოელაპარაკოს ამ ოჯახებს, მოუსმინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერანაირი ტექნიკა ვერ იმუშავებს ტერიტორიაზე, - განაცხადა თამაზ ბაკურიძემ.

ცნობისთვის: სოფელ ბობოყვათში მიწის ნაკვეთებით 120 ოჯახი სარგებლობდა.

„ლევან ვარშალომიძისგან საპატიო დოკუმენტაციას ტყუილად ელოდა პარლამენტი“

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

14 ივლისს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ლევან ვარშალომიძისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს. როგორც ცნობილია, უფლებამოსილება პარლამენტის წევრს მაშინ უწყდება, თუ იგი არასაპატიო მიზეზით არ ესწრება სხდომების ნახევარზე მეტს. საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2022 წლის საგაზაფხულო სესიის განმავლობაში 26 სხდომა ჩატარდა, აქედან ლევან ვარშალომიძე არცერთს არ დასწრებია და სხდომების გაცდენის მიზეზი არ წარმოუდგენია. იმ შემთხვევაში, თუ ვარშალომიძეს უფლებამოსილება შეუწყდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში მონაცვლეს ვერ შეიყვანს, რადგან საარჩევნო სია ჩახსნილი აქვს.

- ლევან ვარშალომიძისგან საპატიო დოკუმენტაციას ტყუილად ელოდა პარლამენტი. მოგეხსენებათ, ის შეგნებულად არ ესწრებოდა სხდომებს, - განაცხადა გიორგი კირთაძემ.

„ლელოში“ მიაჩნიათ, რომ ყველა პარტიას იმდენი წევრი უნდა ჰყავდეს, რამდენის უფლებამოსილებაც მიანიჭეს მოქალაქეებმა. მათი თქმით, სწორედ ასე შეძლებენ საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენებას.

- „ქართული ოცნება“ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების ნაცვლად, ყოველდღიურად კლავს საქართველოს პარლამენტში დემოკრატიულ პროცესს, ყველა ხერხს მიმართავს, რომ შემცირდეს საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციური დეპუტატების რაოდენობა. ამით ხელს უშლის საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობას და ოპოზიციას სხვა პრივილეგიებს აცლის ხელიდან. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი ლიდერისთვის სრულიად უსაფუძვლოდ, უფლებამოსილების გაუქმება და კიდევ სხვა არჩეული წევრებისთვის სადეპუტატო საქმიანობის შეზღუდვა. ამის პარალელურად, უგულელყოფს ოპოზიციის მოთხოვნას, აღდგეს საარჩევნო სიები და ე.წ. „გარიცხული“ და „გასული“ დეპუტატების ჩანაცვლება პარტიული სიის მომდევნო წევრებით მოხდეს. ის, რომ თავის დროზე ოპოზიციის მოთხოვნით ჩაიხსნა სიები, ამ ეტაპზე არგუმენტმოკლებულია, ვინაიდან მაშინ ქვეყანაში სხვა პროცესები მიმდინარეობდა. ეს ერთგვარი პოლიტიკური პროტესტი იყო. იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ უნდა პარლამენტში მხოლოდ თვითონ იყოს, ბადრი ჯაფარიძისთვის სრულიად უსაფუძვლოდ უფლებამოსილების გაუქმებაც ადასტურებს, - აღნიშნავს „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე გენო თებიძე.

პარტიებს ჯანსაღი პოლიტიკური დებატებისკენ მოუწოდებს პოლიტოლოგი კობა ჯუმუშაძე. იგი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მსგავსი ქმედებებით ამომრჩევლის თვალში პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავიდანვე ბოიკოტის რეჟიმში იყო ამ მოწვევის პარლამენტთან. პოლარიზება კიდევ უფრო ღრმავდება და „ქართულ ოცნებას“ არ უჭირს საბაბის მოძებნა იმისთვის, რომ მსგავსი პროცედურები განახორციელოს, ამით კი საქვეყნო საქმე ზიანდება. ორივე მათგანი თავდასხმაზეა გადასული და შიდა საქმეები უგულებელყოფილია, რეალური ჯანსაღი პოლიტიკური დებატები არ ხორციელდება, - განაცხადა პოლიტოლოგმა კობა ჯუმუშაძემ.

„მეზღვაურების შემონატანი საქართველოს ეკონომიკაში 200 მილიონამდე აშშ დოლარს შეადგენს“

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის, სახმელეთო ტრანსპორტის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების 2021 წლის და 2022 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიშები მოისმინეს და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რომელიც ბათუმში გაიმართა.

საქართველოს საზღვაო ტრასპორტის სააგენტოს 2021 წლის და 2022 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიში კომიტეტის სხდომაზე ამავე სააგენტოს დირექტორმა თამარ იოსელიანმა წარადგინა. როგორც მან აღნიშნა, ქართველი მეზღვაურებისთვის გაფართოვდა დასაქმების არეალი: „უკვე დაახლოებით 70-მდე დროშის სახელმწიფო აღიარებს ჩვენ მიერ გაცემულ სერტიფიკატებს, ხოლო ჩვენი მეზღვაურების შემონატანი საქართველოს ეკონომიკაში დაახლოებით 200 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს“.

თამარ იოსელიანმა ისაუბრა ნავსადგურებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და დასავლურ ინვესტიციებთან დაკავშირებითაც. მისი განცხადებით, ნავსადგურებში იგეგმება „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვა და ყველა სერვისის გაციფრულება. საზღვაო ტრასპორტის სააგენტოს ხეკლმძღვანელმა ასევე ისაუბრა ნავსადგურებში გარემოს დაცვის მხრივ მიმდინარე პროექტებზე, მეზღვაურების განათლების და სერტიფიცირების მიმართულებით დაგეგმილ რეფორმაზე და ამ სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერების მნიშვნელობაზე.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ანგარიშები წარადგინეს და ამ სამსახურების მომავლის გეგმებზე ამავე სააგენტოების დირექტორებმა ლევან გამყრელიძემ და ლევან კარანაძემ ისაუბრეს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „წარმოდგენილი ანგარიშებიდან ჩანს, რომ საქართველოში ტვირთბრუნვები რეგიონში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გაზრდილია. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოები კარგად და აქტიურად მუშაობენ, აქვთ შესაბამისი გეგმები და იმ გამოწვევებს, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს, შეუძლიათ, ეფექტურად გაუმკლავდნენ“.

კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები გურამ გურამიშვილი და მარიამ ქვრივიშვილი.

ანკა ჩხიკვაძე

ნატო-საქართველოს თანამშრომლობისთვის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის შეხვედრა გაიმართა თემაზე: „ნატო-საქართველოს თანამშრომლობა, არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“.

შეხვედრაზე საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელმა მთიანი აჭარის რეგიონში ბექა ჯოყილაძემ ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი თორნიკე ფარულავა ნატო-საქართველოს თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრა. ყურადღება გამახვილდა მადრიდის სამიტზე, ნატოს გაფართოების პერსპექტივაზე და ამ ფაქტის მნიშვნელობაზე საქართველოსთან მიმართებაში. საუბარი შეეხო საქართველო-ნატოს თანამშრომლობის მიღწევებსა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებს, ყურადღება გამახვილდა კოლექტიური თავდაცვის პრინციპსა და ორგანიზაციის როლზე მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. თორნიკე ფარულავამ შეხვედრის მონაწილეების შეკითხვებს უპასუხა.

სკოლა-ბანაკში 200 უკრაინელი ბავშვი დაისვენებს

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში, ქობულეთის საერთაშორისო სკოლა-ბანაკში „სამშობლო“ ორი კვირით (ივლისსა და აგვისტოში) 200 უკრაინელი მოზარდი მშობლებთან ერთად დასასვენებლად მიიწვიეს. ამის შესახებ განცხადებას ეპარქია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ბანაკში, გარდა დასვენებისა, ისწავლება ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ცეკვა, სიმღერა, მოეწყობა ექსკურსიები და სპორტული შეჯიბრებები.

ეპარქია თანადგომისთვის მადლობას უხდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ბიზნესმენებს: თემურ ჭყონიას, ზაზა გოგოტიშვილს და თენგიზ ბაკურიძეს. „ღმერთმა მშვიდობა ჰყოს უკრაინაში და მთელ მსოფლიოში!“ - აღნიშნულია განცხადებაში.

ანკა ჩხიკვაძე

გიორგი კობერიძე: უკრაინაში წყდება არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოების, არამედ მსოფლიო წესრიგის ბედიც

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

უკრაინისადმი რუსეთის აგრესიამ მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. უდავოა, რომ ევროპის გეოპოლიტიკური სისტემა ისეთი მდგრადი ვეღარ იქნება, როგორც ომის დაწყებამდე იყო. რუსეთზე თუ არ განხორციელდება მძლავრი ზეწოლა, თავსატეხი თავად ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც შეექმნებათ, ანუ თუ უკრაინა დამარცხდა, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება. ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები. გარდა ამისა, დასავლეთი შემლებისდაგვარად ეხმარება უკრაინას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. უნდა ითქვას, რომ არა დასავლეთის მხარდაჭერა, უკრაინელებს, სავარაუდოდ, გაუძნელდებოდათ რუსეთის შეკავება, ეს უდავოა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს გარკვეულწილად უკრაინაში იტესტება ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა... ომის პერიპეტიები ამის თვალსაჩინო მაგალითია. სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით GIPA-ს - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორ ***გიორგი კობერიძეს.***

- სანამ უკრაინაში მიმდინარე ომზე ვისაუბრებდეთ, მინდა, გკითხოთ: შეეძლო თუ არა დასავლეთს ამ ომის თავიდან აცილება თუნდაც 2014 წელს რუსეთისთვის მძლავრი ეკონომიკური სანქციების დაწესებით?

- დასავლეთს შეეძლო ესწავლა საქართველოსგანაც, რადგან სწორედ 2008 წელს კრემლმა ოფიციალურად გამოხატა სურვილი, ებრძოლა დასავლეთისა და იმ საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ, რომელშიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს საკუთარი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისა და წარმართვის საშუალება ეძლეოდათ. კრემლმა საქართველოში აგრესიის დაუსჯელობის შემდეგ განახორციელა ყირიმის ანექსია და ომი - დონბასში. ეს იყო ევროპაში არსებული წესრიგის რღვევა. ამ შემთხვევაში პასუხი იყო შეუსაბამოდ სუსტი, ამით გათამამებულმა რუსეთმა კი დაიწყო სრულმასშტაბიანი აგრესია უკრაინაში.

- გარკვეულწილად უკრაინაში წყდება მსოფლიოს თუ არა, ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა...

- უკრაინაში წყდება არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოების, არამედ მსოფლიო წესრიგის ბედიც. რუსეთს სურს დაპყრობითი ომები კვლავ ნორმად იქცეს. შესაბამისად, თუკი დღეს ის არ შეაჩერეს უკრაინაში, ამ პრეცედენტს აუცილებლად გამოიყენებენ ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ჩინეთი და ირანი, რომელთაც საკუთარი ექსპანსიონისტური პოლიტიკა აქვთ. მსგავსი პოლიტიკური მიდგომების დღის წესრიგში დაბრუნება, პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებისთვისაა საზიანო.

- თქვენ ყოველდღიურად მიმოიხილავთ უკრაინაში მიმდინარე ომს. რა აჩვენა მსოფლიო ომის მეხუთე თვემ და ამჟამად ომის რა ფაზაა?

- ომმა აჩვენა, რომ მიუხედავად რუსეთის აღმატებული რესურსებისა, კრემლი მზად არ აღმოჩნდა გრძელვადიანი ომისათვის. რუსეთი ტრაბახობდა, რომ მისი არმია მსოფლიოში მეორე იყო, თუმცა ეს „მეორე არმია“ ხუთი თვეა დონეცკისა და ლუგანსკის რაიონებში სრულ კონტროლს ვერ აწესებს, რაც ყველა სტანდარტით სისუსტეზე მიანიშნებს. რუსებმა საკუთარი ელიტური სამხედრო ნაწილები მარიუპოლის, ხარკოვისა და კიევის მისადგომებთან დაკარგეს. ახლა გამოფიტვა გრძელდება. უკრაინელების სამობილიზაციო რესურსი იზრდება, მათი წვრთნა მიმდინარეობს, რუს სამხედროებს კი მაღალი მორალი და მოტივაცია არ აქვთ. ისინი უცხო, მტრულ მიწაზე იმყოფებიან, სადაც მათ არავინ ელოდება. ამასთან, ყველაფერი შედარებითია - როდესაც უკრაინელ სამხედროს უკეთაც აცვია, უკეთესი აღჭურვილობაც აქვს და უკეთესი კვებაც, თან სამშობლოს იცავს, მისი მოტივაცია ყოველთვის უფრო მაღალი იქნება.

- ომის დაწყების დღიდან რუსეთის მიზანი თითქმის მთელი უკრაინის დაპყრობა და არსებული ხელისუფლების შეცვლა იყო. ამჟამად რა არის მისი მიზანი?

- რუსებისათვის ახლა მნიშვნელოვანი მთელი დონბასის, ანუ დონეცკისა და ლუგანსკის რაიონების დაკავება და კონტროლია, მაგრამ მათთვის ეს ძალიან რთულად მისაღწევ ამოცანად ჩანს. ისეთი ქალაქის ასაღებად, როგორიც სევეროდონეცკი იყო, 50 დღეზე მეტი დასჭირდათ. და ეს მაშინ, როდესაც სევეროდონეცკი საკმაოდ არახელსაყრელ გეოგრაფიულ და სამხედრო პოზიციაში იმყოფებოდა. რუსებს უჭირთ ცოცხალი ძალის მრავალი სამხედრო მიმართულებით ერთდროულად მობილიზება, რაც შეტევების დაყოვნებასა და დეზერტირობაშიც კი გამოიხატება.

- დასავლეთის სამხედრო დახმარებას უკრაინისადმი ამ ეტაპზე როგორ შეაფასებთ? „ლენდ-ლიზი“ სრულად როდის ამოქმედდება?

- რომ არა დასავლური დახმარება და განსაკუთრებით კი ბრიტანეთის თანადგომა ომამდე და ომის პირველივე დღეებში, დღეს უკრაინაში სხვა სიტუაცია იქნებოდა. დასავლურმა შეიარაღებამ რუსული ტექნიკის დიდი ნაწილი გაანადგურა. ახლაც მძიმე ტექნიკა და არტილერია დიდი რაოდენობით მიედინება უკრაინისაკენ. რაც მთავარია, დინამიკაა დადებითი - უკრაინის გადაიარაღება დაჩქარებული წესით გრძელდება მაშინ, როდესაც რუსები უკვე T-34 ტანკების გამოყვანას აპირებენ.

- თითქმის მთელი მსოფლიო გმობს რუსეთის აგრესიას, უწესებენ სანქციებს. ამ მიმართებით დასავლეთი რეალურად რამდენად პრინციპული და თანმიმდევრულია უკრაინის რეალური მხარდაჭერის თვალსაზრისით? ჩნდება შთაბეჭდილება, რომ მსოფლიო დაიღალა უკრაინის ომით და ცდილობს, ეს ქვეყანა კომპრომისზე დაიყოლიოს...

- ის სახელმწიფოები, რომელსაც სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში ყველაზე დიდი წონა აქვთ, დგანან უკრაინის გვერდით. საუბარი მაქვს დიდ ბრიტანეთზე, აშშ-ზე, პოლონეთსა და შვედეთზე. ისინი ქმნიან დღეს სამხედრო მიმართულებით მთავარ დღის წესრიგს. რაც შეეხება კონტინენტურ ევროპას, აქ არც გერმანიაა და არც საფრანგეთი რუსეთის აგრესიის მხარდამჭერი, უბრალოდ, მათ რუსეთის მარცხში დიდი ფასის გადახდა არ სურთ. ამასთან, დრო რუსეთის წინააღმდეგ მუშაობს. ნელ-ნელა ამერიკულმა გათხევადებულმა გაზმა დაიწყო რუსული გაზის ჩანაცვლება ევროპაში. გერმანიაში კვლავ აპირებენ ატომური ენერგიის დაბრუნებას. მატულობს ელექტრომანქანების რაოდენობაც. რუსეთი ევროპის ბენზინგასამართი სადგური რომ იყო, ამაზე ადრეც ხუმრობდნენ დასავლეთში, ახლა კი მის გარეშეც შეეძლებათ არსებობა.

- როგორც ცნობილია, უკრაინა თითქმის ყველა ფრონტზე უტევს რუსეთს, მაგალითად, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, რუსეთის წინააღმდეგ ჰააგაში სარჩელი შეიტანა, აშშ-ის პრეზიდენტმა კი პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა... როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

- ახლანდელი რუსეთი ჰგავს იუგოსლავიის დაშლის შედეგებით გაღიზიანებულ სერბეთს, რომელსაც დიდი სერბეთის იმპერიის იდეა ჰქონდა და მუდმივად ომებს აწარმოებდა მეზობლებთან. როგორც მის მმართველ მილოშევიჩს ეზღო ჰააგაში, ისევე შეიძლება აღმოჩნდეს კრემლი იზოლირებული დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოდან. რთული სათქმელია, რუსეთში სურთ თუ არა ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის მსგავსად ჩამოყალიბებული პუტინის ხილვა.

- დაწესებული სანქციები მართლაც მრავლისმთქმელია, თუმცა კრემლი ჯერჯერობით უკან დახევას არ აპირებს. დასავლეთს თადარიგში რა ბერკეტები რჩება?

- სანქციები ნელა, მაგრამ მუშაობს. რუსეთმა 100 წლის განმავლობაში პირველად განიცადა დეფოლტი. ასიათასობით დასაქმებულმა რუსმა დაკარგა სამსახური. ამდენივე შრომისუნარიანმა მოქალაქემ დატოვა ქვეყანა. დღეს თვითკმარი სახელმწიფო არ არსებობს. არც რუსეთია ასეთი, შესაბამისად, სანქციები ნელ-ნელა, მაგრამ კიდევ უფრო მკაცრად იმოქმედებს.

- ევროკომისიამ 2023 წლამდე გადასწია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ეს რაზე მიანიშნებს? და აქვე თანმდევი კითხვა: ამას წინათ ჩვენს ქვეყანაში გამართულმა მიტინგებმა რა ცხადყო?

- საქართველოს ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა მეტი და შეესრულებინა ყველა ის ნაკისრი ვალდებულება, რომლებიც მას კანდიდატის სტატუსს მოუტანდა. მხოლოდ სტატუსი კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის რეფორმები, რომლებსაც დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას სთხოვდა და სთხოვს, რომ გაატაროს. პირველ რიგში, ეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მოუტანდა სარგებელს. იქნებოდა მეტი უსაფრთხოება, მეტი გამჭვირვალობა, აღარც პოლიტიკური კლანები იარსებებდა და აღარც სახელმწიფო იმუშავებდა რამდენიმე ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველოს ხელისუფლებას თუ აქვს სურვილი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს, ეს ერთი წელი ყველაფერი უნდა აკეთოს რეფორმებისთვის. მეორე მხრივ, რთული სათქმელია, რა იქნება ერთ წელიწადში. მიმდინარე წელი ჩვენთვის შესაძლებლობის ფანჯარასავით იყო, 2023 წელი როგორი იქნება, უცნობია.

- კვლავ უკრაინას დავუბრუნდეთ - მისთვის ომის სასურველად დასრულება რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული?

- უკრაინის ომი დასრულდება მაშინ, როდესაც რუსეთი მიხვდება, რომ ომის წარმოებისთვის აღარ აქვს არც ნება და არც საკმარისი სამხედრო ძალები. საბჭოთა კავშირი, რომელიც რუსეთზე ბევრად აღმატებული იყო რესურსებით, როდესაც მიხვდა, რომ ავღანეთში ომს ველარ იგებდა, გამოვიდა. არადა, საბჭოთა კავშირს 10 წელიწადში იმის ნახევარი სამხედრო დაეღუპა, რამდენიც რუსეთმა უკრაინაში ხუთ თვეში დაკარგა. ომს მხოლოდ რაოდენობრივი რესურსებით ვერ მოიგებ. ელიტური სამხედრო ნაწილები რუსებმა კიევთან, მარიუპოლსა და ხარკოვთან დაკარგეს. დროსთან ერთად იგი მეტს კარგავს და ცოტას იღებს. ეს ისეთი დინამიკაა, რომ შეიძლება კრემლშიც დაფიქრდნენ ამაზე.

- დაბოლოს, რა გავლენა ექნება ამ ომის შედეგებს მსოფლიოზე და, კერძოდ, საქართველოზე?

- საქართველოსათვის რუსეთის მარცხი კრიტიკულად მნიშვნელოვანია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის გვერდით იბრძვიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან წაყვანილი სეპარატისტებიც. შესაბამისად, დღეს რუსების მარცხი საქართველოს გამარჯვებაა, სეპარატისტებისთვის კი ჭკუის სასწავლი, რომ რუსეთი დაუმარცხებელი არ არის და, აღრე თუ გვიან, საქართველოდანაც მოუწევს გასვლა.

კანადამ რუსეთის ფედერაციის ნავთობის, გაზისა და ქიმიური სექტორების წინააღმდეგ ახალი სანქციები დააწესა

2022 წლის 14 ივლისს კანადამ შეიტანა დამატებითი ცვლილებები სპეციალური ეკონომიკური ზომების (რუსეთი) დებულებებში, რომლებიც კრძალავს ორი სამეწარმეო მომსახურების მიწოდებას რუსეთის ნავთობისა და გაზის, ქიმიური და გადამამუშავებელი მრეწველობისთვის.

შესაბამისი დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული სექტორებიდან ცვლილებებს დაემატა რვა ახალი ინდუსტრია. კანადასა თუ მის ფარგლებს გარეთ, კანადის მოქალაქეებსა და კომპანიებს ეკრძალებათ რუსეთის ფედერაციას ან ნებისმიერ ინდივიდს ქვეყანაში მიაწოდონ საწარმოო მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია: სახმელეთო ტრანსპორტთან და მილსადენებით ტრანსპორტირებასთან, ლითონების, ლითონის ნაკეთობების, კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის, ელექტრომოწყობილობებისა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების წარმოებასთან.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

45 ქვეყანამ, მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოებმა, ასევე, გაერთიანებულმა სამეფომ, აშშ-მა, კანადამ, მექსიკამ და ავსტრალიამ ჰააგაში ხელი მოაწერეს პოლიტიკურ დეკლარაციას ერთობლივი მუშაობის შესახებ. ოფიციალური პირების თქმით, უკრაინაში ომის დანაშაულების დაახლოებით 23 000 საქმეზე გამოძიება დაწყებულია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ხანმა ნიდერლანდების სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და ევროპული კომისიის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელზეც უკრაინაში ჩადენილი ომის დანაშაულების კოორდინირებულად გამოძიების საკითხები განიხილეს, განაცხადა, რომ სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთად იმუშავებენ. „მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ როცა ვსაუბრობთ, ბავშვები, ქალები და კაცები, ახალგაზრდები და მოხუცები შიშში ცხოვრობენ“, - აღნიშნა კარიმ ხანმა.

* * *

შეერთებულმა შტატებმა უკრაინაში მყოფ ამერიკის მოქალაქეებს მოუწოდა, დაუყოვნებლივ დატოვონ უკრაინა, ასევე, დიდ შეკრებებს და ღონისძიებებს მოერიდონ, რადგან ისინი შეიძლება რუსეთის სამხედრო სამიზნე გახდნენ. „უკრაინაში მყოფი მოქალაქეები დაუყოვნებლივ გაემგზავრონ კერძო სახმელეთო ტრანსპორტის საშუალებების გამოყენებით, თუ ეს უსაფრთხოა“, - აღნიშნულია უკრაინაში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

* * *

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობას, ეკონომიკურ სფეროში სპეციალური ზომები შემოიღოს. საუბარია რუსეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერაზე „კონტრტეროროსტული და სხვა ოპერაციების“ დროს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, იურიდიული პირები რუსეთში ვერ შეძლებენ უარი თქვან სახელმწიფო შესყიდვების, ან სახელმწიფო თავდაცვის შეკვეთების ფარგლებში ხელშეკრულებების დადებაზე, როდესაც ეს კონტრაქტები ეხება ამ „ოპერაციების“ განხორციელებას. მთავრობას შეეძლება დააწესოს სპეციალური „შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ცალკეულ ორგანიზაციებში“, რომელიც ეხება ღამით, შაბათ-კვირას და არდადეგებზე მუშაობას. მთავრობას ექნება სამობილიზაციო ძალებისა და საშუალებების დროებით გააქტიურების და სახელმწიფო რეზერვში არსებულ მატერიალურ აქტივებზე ჯავშნის გაუქმების უფლება.

* * *

პარტია „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობის“ მიერ კოალიციიდან გასვლის შედეგად იტალიაში გამოწვეული პოლიტიკური კრიზისის გამო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა მისი მოთხოვნა იტალიის პრეზიდენტმა სერჯიო მატარელამ არ დააკმაყოფილა. როგორც მატარელას ოფისის განცხადებაში ვკითხულობთ, მან „არ დააკმაყოფილა გადადგომის მოთხოვნა და პრემიერ-მინისტრი პარლამენტში განცხადების გასაკეთებლად მიიწვია“.

გვერდი მოამზადა
ია შველიძემ

მიუხედავად ვადების ცვლილებისა, მმართველი გუნდი გეგმის მიხედვით მუშაობას განაგრძობს

ევროკომისია საქართველოსთვის წევრობის სტატუსის მინიჭების საკითხს 2022 წლის ბოლოს აღარ განიხილავს. საქართველოს საკითხის განხილვა 2023 წლისთვის გადაიდო. განცხადება ამის თაობაზე ევროკომისიის წარმომადგენელმა ევროპარლამენტის სხდომაზე გააკეთა

„ჩვენ, როგორც ევროპულმა საბჭომ გვთხოვა, ანგარიშს მოვამზადებთ გაფართოების პაკეტში 2023 წელს. ეს მისცემს ქართულ პოლიტიკურ სისტემას არსებით დროს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე სამუშაოდ“, - განაცხადა ევროპული სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალურ დირექტორატში საქართველოს საკითხებზე ჯგუფის ხელმძღვანელმა მიხაელ რუპმა.

გთავაზობთ შეფასებებს, რომელიც აღნიშნულთან დაკავშირებით გაკეთდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

- 6-თვიანი ვადა გადაჭარბებულად ცაიტნოტური იყო, ერთი მხრივ, თუ გავითვალისწინებთ იმ საკითხებს, რაც ამ რეკომენდაციებშია და მეორე მხრივ, როდესაც საქართველო ამ რეკომენდაციებს შეასრულებს, საჭიროა, ევროკომისიამაც გარკვეული დრო დაუთმოს ამის გადამოწმებას. ამიტომ, ვფიქრობ, თავი დაიზღვიეს და თავადაც დრო აიღეს, რათა შეძლებისდაგვარად სრულფასოვნად განიხილონ ეს საკითხი, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა, ვარაუდობს, რომ იგივე საკითხი შეეხება უკრაინასა და მოლდოვას, მეტიც, მისი თქმით, იქ უფრო რთულადაა საქმე.

- მოლდოვის მიმართ წაყენებული რეკომენდაცია, რომ საჯარო სამსახურის რეფორმა გატარდეს, ვფიქრობ, წარმოუდგენელია ამ 6 თვეში შესრულდეს. იქით უფრო საჭირო იყო დამატებითი ვადები. რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, არ იცვლება, წარმოდგენილი გვაქვს მკაფიო გრაფიკი. არა მხოლოდ თვეებით, არამედ თარიღებითაა გაწერილი, სადაც ჩაწერილია, როდის დაინიცირდება და მესამე მოსმენით მიიღება. ამ 12 პუნქტიდან, ყველა საკითხი, ჩვენი მხრიდან დეკემბერში სრულდებოდა. ორი საკითხი იყო ჩვენს გრაფიკში - სასამართლო და საარჩევნო რეფორმა, რომელთა ინიციირება ნოემბერში და დეკემბრის დასაწყისში მოხდება, შემდეგ ვაგზავნით ვენეციის კომისიაში, ამის შემდეგ გააგრძელებს პარლამენტი მიღებას. აქ ჩვენ დამოკიდებული ვართ ვენეციის კომისიაზე, რომ 6 თვის ვადაში ჩავეტიოთ, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. იგი დეზინფორმაციას უწოდებს მოსაზრებას, რომ ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსის მინიჭება დამატებით ფინანსებთანაა დაკავშირებული.

- ვნახეთ ევროკავშირის ელჩის განცხადება, რომ კანდიდატის სტატუსს დამატებით ფინანსებთან კავშირი არ აქვს. მან პირდაპირ განაცხადა, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებას დამატებით ფინანსებთან კავშირი არ აქვს. ადამიანებს, რომლებმაც ძალიან კარგად იცოდნენ რომ ეს ასე არ არის, რატომ ჰქონდათ დეზინფორმაციული კამპანია? პასუხი ისაა, რომ საზოგადოებაში ისტერია გამოეწვიათ - განაცხადა პაპუაშვილმა.

საქართველოსთვის არაფერი შეცვლილა, რეფორმები დეკემბრამდეა გასაკეთებელი - ჯერი ახლა ქართველ ხალხზეა და არა ევროპელ პარტნიორებზე, - ეს განცხადება „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გააკეთა. როგორც **გიორგი ვაშაძემ** აღნიშნა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ პარლამენტში ყველა შესაბამისი კანონი დარეგისტრირდეს, რომელთაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხმას მისცემენ.

- ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან გაკეთდა შემდეგი განცხადება: დეკემბრისთვის შემფასებელთა ჯგუფი ჩამოვა, რომელიც საქართველოს საბოლოო დიაგნოზს დაუსვამს - შეასრულა თუ არა ქვეყანამ 12 პუნქტიდან გამომდინარე მასზე ნაკისრი ვალდებულებები. ამის შემდეგ ითქვა, რომ შემდგომი პროცედურა შეიძლება იყოს 2023

წელს, მაგალითად, იანვარში. დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რეფორმები განხორციელდა თუ არა, დეკემბერში გაკეთდება. ნუ ავტეხავთ აჟიოტაჟს იმისგან, რაზეც აჟიოტაჟი ასატეხი არ არის. თუ დეკემბერში საქართველო ყველა რეფორმას შეასრულებს, იქნება მხოლოდ პროცედურა, როცა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყველა ლიდერი უნდა შეიკრიბოს და თქვას: დიახ, საქართველომ ვალდებულებები შეასრულა და კანდიდატის სტატუსს ვაძლევთ. ეს შეიძლება იყოს იანვრის მეორე ან მესამე კვირაში, - განაცხადა მან.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ კიდევ ერთი წარმომადგენელი **პაატა მანჯგალაძე** მიიჩნევს, რომ შესაძლებლობის ფანჯარა, რაც უკრაინის თავისუფლებისთვის ბრძოლამ გააჩინა, შეიძლება ნებისმიერ დროს დაიხუროს.

- უნდა ვიჩქაროთ, 2023 წლის ბოლომდე დასაკარგი დრო არ გვა-

ქვს! - განაცხადა მანჯგალაძემ. მისივე თქმით, თუ ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად 2023 წელს დაელოდება, ეს გეოპოლიტიკურად ძალიან დიდი შეცდომა შეიძლება აღმოჩნდეს.

- არ გვაქვს არც ექვსი თვე და არც ერთი წელი იმისთვის, რომ გადაწყვეტილებას 2023 წლის ბოლომდე ველოდოთ. ზუსტად იმ დღის წესრიგით უნდა ვიმუშაოთ, რადგან როგორც გვითხრეს, როგორც კი მზად ვიქნებით რეკომენდაციებისთვის შესასრულებლად, სტატუსს მაშინვე მოგვანიჭებენ. ამიტომ საქართველომ ამ თარიღთან დაკავშირებით არაფერი არ უნდა შეცვალოს და რეკომენდაციები რაც შეიძლება მალე შევასრულოთ. იმ რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ, რომ სტატუსი რაც შეიძლება მალე მოგვანიჭონ, რადგან ფანჯარა ნებისმიერ დროს შეიძლება დაიხუროს, - აღნიშნა მანჯგალაძემ.

უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე **ლევან ბოძაშვილის** მოსაზრებით, ევროკავშირმა 12 რეკომენდაციის შესრულების ვადა ერთი წლით გაახანგრძლივა იმისათვის, რომ მათ არ მოუწიოთ კანდიდატის სტატუსზე უარის თქმა.

- გამომდინარე იქიდან, 23-24 ივნისის საბჭოს სხდომის შემდეგ რა პროცესებიც განვითარდა საქართველოში, პოლიტიკურმა პარტიებმა კვლავაც ვერ გამონახეს საერთო ენა, პოლიტიკური პროცესი ისევ სტაგნაციაშია, როგორც იყო მანამდე. ბუნებრივია, აკვირდებიან ისინი ამ ყველაფერს და ხედავენ, რომ, რადგან მაშინვე არ დაიწყო ამ რეკომენდაციების, მოთხოვნების შეს-

რულებაზე საერთო მუშაობა, ჩათვალეს, რომ იგივე პროცესი განვითარდებოდა, რაც მიშელის შეთანხმების შემთხვევაში, - განაცხადა ლევან ბოძაშვილმა. იგი სვამს კითხვას, რა მოხდებოდა, ევროკავშირს რომ არ გადაეწია ვადები და დეკემბერში არ მიგვეღო კანდიდატის სტატუსი? რას გააკეთებდა ოპოზიცია ასეთ დროს? ბოძაშვილის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობაში იქნებოდა ძალიან დიდი უკმაყოფილება,

- მაგრამ შეძლებდა თუ არა ოპოზიცია ამ უკმაყოფილების გარდასახვას პოლიტიკურ ცვლილებებში, ხელისუფლების ცვლილებაში? მე ვფიქრობ, რომ ვერ შეძლებდა და იმ ძალიან დიდ დაგროვილ მუხტსაც ისევე გაფლანგავდა, როგორც ეს მოხდა ივნისში. მთელ ოპოზიციურ სპექტრს, უმცირესი გამონაკლისების გარდა, ვურჩევდი სახლში წასვლას, მეტს არაფერს, მათ დაამტკიცეს, რომ არაფრის უნარი არ აქვთ ქართულ პოლიტიკაში, ისინი არიან ნეგატივის და არამნიშვნელოვანი საქმეების გაკეთების თანამონაწილენი, - განაცხადა ბოძაშვილმა.

გაზრდილი ვადის პირობებში სრულიად შესაძლებელია, რომ საზოგადოებამ ქვეყნის ნორმალური

განვითარების გზაზე დაბრუნების ამოცანა, ან ხელისუფლების იძულებით, ან კონსტიტუციური წესრიგის აღდგენით, ანუ ხელისუფლების ცვლილებით შეასრულოს, - ასე აფასებს პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** ევროკომისიის მიერ საქართველოს საკითხის განხილვის გადადებას. მისი განცხადებით, აღნიშნული ოპოზიციის და ხელისუფლების გეგმებს არ შეცვლის, თუმცა გარკვეულწილად მოიხსნება ფორსმაჟორი, რომელიც შეზღუდულ ვადებს უკავშირდება.

- ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებით ქვეყანა ზიანდება, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. დასავლეთი აკვირდება შიდა პოლიტიკურ პროცესს, აკვირდება შესაბამის რისკებს და ხედავს, რომ პოლიტიკური ელიტა არ არის მზად კონსენსუსისთვის, - აღნიშნავს ხუხაშვილი. მისივე თქმით, ასეთ შეკუმშულ ვადებში, ფორსირებულად ამ პროცესს შეიძლება ახლდეს კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური სიმძაფრე.

- ეს ვადა გაიზარდა, რომ დაძაბულობის ტემპერატურა დაიწიოს და უფრო საქმიან ვითარებაში გადავიდეს ყველაფერი. სრულიად აშკარაა, რომ ხელისუფლებას არ აქვს პოლიტიკური ნება ამ პირობების შესრულების. ერთადერთი, რაზეც „ქართული ოცნება“ ფიქრობს, არის, რომ თან არ გააკეთოს და თან ეს მათ კი არა, ოპოზიციას დაბრალდეს, ანუ ხელი გაიშვიროს მეორე მხარისკენ, - აცხადებს იგი და დასძენს, - ყველაფერი დამოკიდებულია, რამდენად შეძლებს ქართული საზოგადოება ხელისუფლების იძულებას, რომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები. ასეთი პროცესის შემჭიდროება 6 თვეში უკავშირდებოდა სერიოზულ რისკებს, მაგრამ გაზრდილი ვადის პირობებში სრულიად შესაძლებელია, რომ საზოგადოებამ ეს ამოცანა ქვეყნის ნორმალური განვითარების გზაზე დაბრუნების, ამა თუ იმ ფორმით შეასრულოს.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** მიიჩნევს, რომ ევროკომისიის გადაწყვეტილება საქართველოში შექმნილი დაძაბულობით არის განპირობებული.

- ევროკომისიის გაჟღერებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განხილვა უნდა მოხდეს მოგვიანებით და საქართველოში ცაიტნოტური სიტუაციის შექმნა არ არის აუცილებელი, იმ რეალობიდან გამომდინარეობს, რასაც სამწუხაროდ, თვალს ყოველ დღე ვადევნებთ - დეპოლარიზაციის თემაზე კამათი, სამუშაო ჯგუფებისთვის ბოიკოტის გამოცხადება და მრავალი სხვა რამ. ევროკომისიამ ჩათვალა, რომ მათ მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეთ დაძაბულობის შექმნაში. რასაკვირველია, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მთავარია საქმიანი ურთიერთობა, ქართველი ხალხისთვის სიკეთის მომტანი გადაწყვეტილებების მიღება და არა პოლიტიკურ პარტიებს შორის ჭიდილი, რაშიც რადიკალური

ოპოზიცია არათუ გამოირჩევა, არამედ საგანგებოდ მოქმედებს და არ შეუცვლია ის სტრატეგია, რაც არის დაძაბულობა, დესტაბილიზაცია და შესაძლო რევოლუციური სცენარის განვითარება. ევროკომისია სწორ და პრაგმატულ გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ იმ გრაფიკიდან ამოვარდებით ან დავარღვევთ, რაც ირაკლი კობახიძემ წარმოადგინა,- განაცხადა ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ საზოგადოებას რამდენიმე დღის წინ ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების გეგმა გააცნო. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ მიუხედავად ვადების ცვლილებისა, შემუშავებული გეგმის მიხედვით მუშაობას განაგრძობენ.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მუშაობს

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა, ევროკავშირის დირექტივაზე - აუდიოვიზუალური მედიამომსახურების შესახებ, ბათუმში ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გამართა. ინფორმაცია ამის შესახებ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა.

„ევროპის საბჭოს პროექტის - „მედიის თავისუფლების, ინტერნეტმმართველობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განსახილველი თემა იყო „გამოხატვის თავისუფლების სტანდარტები და მედიის პროფესიული რეგულირება: ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის გამოცდილება“. შეხვედრის მეორე დღეს, დეტალურად განიხილეს, თუ რა ვალდებულება აქვს ქვეყანას ასოცირების ხელშეკრულებით შესასრულებელი, რომელთაგან მედიის პროფესიული რეგულირება ასოცირებით ნაკისრ ვალდებულებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

სამუშაო შეხვედრაზე სიძულვილის ენასა და უხამსობაზე, მედიის პროფესიული რეგულირების კუთხით ევროპული ქვეყნების მაგალითებსა და ამ მხრივ მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტით წარმოდგენილ მოდელზე იმსჯელეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

- დავასრულეთ სამუშაო შეხვედრები, რომელიც ეხებოდა მსჯელობას, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულების აუდიოვიზუალური მედიასერვისების გაწევის შესახებ ევროსაბჭოს დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში ჰარმონიზებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ვგეგმავთ საშემოდგომო სესიის ფარგლებში კანონპროექტის ინიცირებას. მნიშვნელოვანი იყო მოგვესმინა ის გამოცდილება, რომელიც ევროკავშირს აქვს ამ მიმართულებით და განგვეხილა, თუ როგორ შეიძლება ამ გამოცდილების ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ჩვენს ქვეყანაში, - განაცხადა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილმა.

სამუშაო შეხვედრაში, კანონმდებლებთან ერთად, მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები ბესარიონ ბოხაშვილი, ტობი მენდელი და ივ სალომონი, ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ საქართველოს დესკის ხელმძღვანელი ქეთევან შენგელია და კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლები.

გვერდი მოამზადა
ია შველიძე

თავის ტკივილი, რომელიც ცხოვრების ხარისხს ცვლის

ქეთევან კილაძე 27 48 93

თავის ტკივილს ნერვული დაბოლოებების (რეცეპტორების) გაღიზიანება იწვევს. ეს რეცეპტორები მდებარეობს თავის ქალას შიგნით და გარეთ, მსხვილი სისხლძარღვების კედლებში, ტვინის მაგარ გარსში, კუნთებსა და მყესებში, კანქვეშა ქსოვილში, თვალებში, ცხვირის დანამატ ღრუებსა და ლორწოვანში

თავის ტკივილის მიზეზებია:

სისხლძარღვთა დაავადებები, მაღალი ან დაბალი არტერიული წნევა; შაკიკი; სამწვერა ნერვის ნევრალგია; ქალასშიდა წნევის მომატება; ქალატვინის ტრავმა; ქალას ძვლების მოტეხილობა; პოსტტრავმული მდგომარეობები; მედიკამენტების ჭარბი მოხმარება; სინუსიტები; ვირუსული დაავადებები...

თავის ტკივილის პროვოცირება შესაძლოა გამოიწვიოს: კლიმატის მკვეთრმა ცვლილებამ; ხშირი სტრესის ფონზე ემოციურმა გადაძაბვამ; არაჯანსაღმა საკვებმა; ალკოჰოლის ჭარბმა მიღებამ; მზეზე დიდხანს ყოფნამ.

თავის ტკივილი შაკიკის სავიზიტო ბარათია. ახლა სწორედ ამ დაავადებაზე მინდა გესაუბროთ.

შაკიკი მსოფლიო მოსახლეობის 10%-ს აქვს, უმეტესად ქალებს. დაავადება პუბერტატულ ასაკში ვლინდება და მენოპაუზამდე გრძელდება.

შაკიკი ქრონიკული, მორეციდივე ნევროლოგიური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ძლიერი, მფეთქავი ტკივილი თავის მარჯვენა ან მარცხენა ნახევარში.

განასხვავებენ შაკიკს აურით და შაკიკს აურის გარეშე. ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია. აურა - ეს არის პერიოდი, რომელიც წინ უძღვის თავის ტკივილს. შესაძლოა გამოვლინდეს მხედველობითი, ყნოსვითი სიმპტომებით: თვალწინ ბრჭყვიალა წერტილების გაჩენით, არარსებული სუნის შეგრძნებით... აურის შემდგომ იწყება თავის შეტევითი ტკივილი და გრძელდება 4-72 საათს.

შაკიკი აურის გარეშე რამდენიმე ქვესახეობად იყოფა: ბაზილარული შაკიკი - შეტევა ვლინდება თავბრუხვევით, წონასწორობის დარღვევით; ჰემიპლეგიური შაკიკი - სხეულის ნახევარში კუნთები სუსტდება; შაკიკის სტატუსი - შეტევა ჩვეულებრივზე მეტადაა გახანგრძლივებული.

დაავადებისთვის დამახასიათებელია ნახევარი თავის ინტენსიური, მოპულსირე ტკივილი, რომელიც ძლიერდება სიარულისა და ფიზიკური დატვირთვის დროს. შეტევა შესაძლოა ყოველდღე განმეორდეს, ზოგჯერ წელიწადში რამდენჯერმე. შეტევის დროს ხშირად იმატებს მგრძნობელობა სინათლისა და ხმაურის მიმართ. ზოგჯერ ტკივილს თან სდევს გულისრევა ან ღებინება.

რა იწვევს შაკიკს?

ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ამ დროს თავის ტკივილს საფუძვლად უდევს სისხლძარღვოვანი სპაზმი - თავდაპირველად ხდება ვაზოკონსტრიქცია - თავის ტვინის სისხლძარღვების შევიწროება, რაც იწვევს აურულ



სიმპტომებს, ამას მოჰყვება ვაზოდილატაცია - სისხლძარღვების გაფართოება, რასაც ძლიერი ტკივილი სდევს თან.

შაკიკის პროვოცირებას ახდენს: ალკოჰოლი, თამბაქო, ჰოლანდიური ყველი, თხილი, კაკაო, ფსიქოემოციური სტრესი, ძილის რეჟიმის დარღვევა, პრემენსტრუალური სინდრომი...

შეტევის თანმხლები გაუსაძლისი ტკივილი უარყოფითად აისახება ცხოვრების ხარისხზე (სამსახურის გაცდენა, გეგმების შეცვლა...).

ნერვოლოგთან ვიზიტი აუცილებელია. იგი შეკრებს ინფორმაციას ჩივილებისა და ცხოვრების წესის შესახებ, შეაფასებს ავადმყოფის ნევროლოგიურ მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში დანიშნავს ლაბორატორიულ თუ მაგნიტორეზონანსულ კვლევებს...

სამკურნალოდ გამოიყენება ის მედიკამენტები, რომლებიც პროსტაგლანდინებს ბლოკავს, ასევე - ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები, ზოგჯერ - სედატიური პრეპარატებიც.

ცხოვრების ჯანსაღი წესი შაკიკის პროფილაქტიკისთვის მთავარია - იძინეთ კარგად, იკვებეთ სწორად, ერიდეთ ალკოჰოლსა და თამბაქოს, ისეირნეთ ფეხით, კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობისას მხედველობის გადაძაბვის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ დამცავი სათვალე; შეძლებისდაგვარად აარიდეთ თავი სტრესულ სიტუაციებს, ასევე, ხმაურს, მკვეთრ განათებას.

პროგრამების მიმდინარეობას გაეცნენ

სარეაბილიტაციო ცენტრ „ფანშეტში“ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა და ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამების მიმდინარეობას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, მისი მოადგილე ზურაბ თენიეშვილი და სოციალური დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინდირა ნაკაიძე გაეცნენ. ისინი სარეაბილიტაციო სერვისებით მოსარგებლეთა მშობლებს შეხვდნენ, ასევე პროგრამების შედეგების შესახებ ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებისგან მოისმინეს.

- აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამედიცინო და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფაა, რომლის მიზანი ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობაა. ამისათვის სამინისტრო არაერთ პროგრამას ახორციელებს. ჩვენი სტუმრობის მიზანი სერვისების მოსარგებლეთა მოსაზრებების გაზიარება იყო, რადგან სამინისტრო ყოველწლიურად სწორედ მათი საჭიროებების კვლევის საფუძველზე ხვეწავს არსებულ პროგრამებს და ქმნის ახალს.

სამომავლოდ, სამინისტრო გეგმავს პროგრამების გაფართოებას, კერძოდ, ადრეული განვითარების პროგრამის დასრულების შემდეგ, 7 წლის ზემოთ ბავშვები მომსახურების მიღმა რჩებიან, შესაბამისად, სპეციალისტებთან ერთად ვმუშაობთ ამ საკითხზე. ფართოვდება სარეაბილიტაციო ცენტრების არეალიც და მალე სერვისების მიღება მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებშიც იქნება შესაძლებელი, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

მიმდინარე წელს სამინისტრომ გაზარდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა და ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა და ბიუჯეტი. ივლისიდან კი, მაღალი მომართვიანობის გამო, დამატებით გაიზარდა - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსება.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 28 907 795 ლარს შეადგენს. უწყება ჯამში 38 სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს.

ანკა ჩხიკვაძე

„ვამბობდი, რომ ეს გადაიქცეოდა ჩვეულებრივ ენდემურ ვირუსად“

„მინდა დავამშვიდო მოსახლეობა, რომ არანაირი ნერვიულობისა და სტრესის საფუძველი არ არსებობს“ - ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, დღეს რაიმე შეზღუდვის დაწესება არ განიხილება.

„რაც შეეხება ეპიდვითარებას, საკმაოდ მშვიდი სიტუაცია გვაქვს, არის ინფიცირების შემთხვევები, თუმცა სრულად მართვადი, მინიმალურ ზღვარზეა, მკვეთრი ზრდა არ არის. მათ, ვისაც ესაჭიროება მკურნალობა ჰოსპიტალში, მზად ვართ, ვუმკურნალოთ ჰოსპიტალში. ვისაც ესაჭიროება კონკრეტული მედიკამენტი, რომელიც არის კოვიდის სამკურნალო, რამდენიმე თვის წინ ეს მედიკამენტიც, „ფაიზერის“ წარმოების „პაქსლოვიდი“ ჩამოვიტანეთ და ადგილზე გვაქვს. კლინიკური ნიშნებიდან, სიმძიმიდან და რისკიდან გამომდინარე, შეგვიძლია, მათ ეს მედიკამენტიც შევთავაზოთ. ასევე, მსურველებს შეუძლიათ აცრების გაგრძელება და ვთავაზობთ სხვადასხვა სახის ვაქცინას. მიმდინარე წლის იანვარში ვამბობდი და მაშინ ბევრს გაუკვირდა, რომ ეს გადაიქცეოდა ჩვეულებრივ ენდემურ ვირუსად, რომელიც პერიოდულად შეგვახსენებდა თავს, ზუსტად იგივე მიმდინარეობა აქვს და ზუსტად იგივეს ადასტურებენ დღეს ინფექციონისტები, რომ არაფერია საშიში, საპანიკო, შეგვიძლია, ინფიცირების შემთხვევაში, მშვიდად გადავიტანოთ, ვიმკურნალოთ. რამე შეზღუდვის, ჩაკეტვის, თუ სხვადასხვა აკრძალვის შემოტანის საფუძველი დღეს არ არის და დარწმუნებული ვარ, რომ არც იქნება“, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

აზარაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ არსებული მონაცემებით, პირბადის ტარების საჭიროება არც დღეს არის და არც ახლო მომავალში იკვეთება.

ანკა ჩხიკვაძე

საქართველოში თურქეთიდან შემოტანილი მედიკამენტები ძვირდება

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ბრძანებით, ქვეყნის ადგილობრივ ბაზარზე მედიკამენტების ფასები 25%-ით იზრდება. ფასის ზრდა ლირის მკვეთრი გაუფასურების გამო გახდა საჭირო. როგორც საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ილონა კოკიაშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, „როდესაც მედიკამენტები იმ ქვეყანაში ძვირდება, საიდანაც შემოგვაქვს, ბუნებრივია, ეს ჩვენთანაც გაზრდის ფასს. დაახლოებით, 25-30% ზრდა იქნება, ამ ეტაპზე ასეთი ინფორმაცია გვაქვს. ეს დამოკიდებული იქნება ჩვენი ბაზრის იმდროინდელ მოცემულობაზე, ინფლაციასა და გაცვლით კურსზე. დრო მარაგებზეა დამოკიდებული. კომპანიებს განსხვავებული მარაგები აქვთ: ზოგს - ერთი კვირის, ზოგს - ერთი თვის, ზოგს კიდევ შეკვეთილი აქვს და გზაშია. დაახლოებით ერთი თვის პერიოდში გამოჩნდება, რა გავლენა ექნება ჩვენს ბაზარზე, აგვისტოს შუა რიცხვებიდან კი უკვე გვეცოდინება, რა შეიცვლება კონკრეტულ მედიკამენტებზე“.

ცნობისთვის: საქართველოში იაფი თურქული მედიკამენტების შემოტანა მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო. 24 ივნისს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს სააფთიაქო ქსელებში ხელმისაწვდომია თურქეთიდან იმპორტირებული 400-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი, რომელთა ფასები 60%-80%-მდეა შემცირებული. სამინისტროს ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წლის მარტიდან 24 ივნისამდე 155 ათასზე მეტმა მოქალაქემ შეიძინა თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტები და ძველი ფასებით 74 მილიონის ნაცვლად, დაახლოებით, 23 მილიონი ლარი გადაიხადა.

ამირან გურიელიძე

სადაზღვევო სფეროში ჯანსაღი კორპორატიული მართვისთვის...

სადაზღვევო სფეროს ზრდის კარგი პოტენციალი გააჩნია, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა გვაქვს მაღალი ეკონომიკური ზრდა, - ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია სადაზღვევო სფეროში ჯანსაღი კორპორატიული მართვის თანამედროვე მეთოდების და ელემენტების დანერგვა, მათ შორის - კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებში. „ამ კუთხით ბევრია გასაკეთებელი, საჭიროა დამოუკიდებელი



დირექტორის ინსტიტუტის შემოღება. ამ თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ TWINNING-ის პროგრამის შედეგები“, - აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ.

პარლამენტში ირაკლი კოვზანაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ამავდროულად დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გაიმართა. მას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი, ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე, ასევე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი და ამ სამსახურის სხვა წარმომადგენლები.

ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

ამირან გურიელიძე

ომარ ტაკიძე: ვიმედოვნებთ, რომ „შუახევობის“ წლევანდელ ზეიმს კეთილმოწყობილ არენაზე გავმართავთ

შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძის ხელმძღვანელობით თურქეთის რესპუბლიკაში ჩვენი დელეგაცია იმყოფებოდა. ამ და სხვა საკითხებზე ბატონი ომარი გვესაუბრა

- ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში, მონაწილეობა ახმედ მელაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებში, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლის „ზე-კართან“ გამოსვლა ინეგოლელებისა და მათი სტუმრების წინაშე, ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მენან ფორთოქალის (ფუტკარაძე) ღვაწლი და ინეგოლში მცხოვრები სხვა ქართველების დამოკიდებულება მემლექეთისადმი ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. იქ მცხოვრები ქართველები იცავენ ქართულ ენას, ადათ-წესებს, ქართულ ფასეულობებს. რამდენიმე ოჯახში მივიპატიჟეს და თავი მშობლიურ სოფელში მეგონა. ეზო-კარმიდამოსაც ვაკვირდებოდი. ყველაფერი ისეა ნაპატრონები და მოვლილი, როგორც საქართველოს სოფლებში. მიწას გამოუყენებელს არ ტოვებენ, თანაც ცდილობენ, მაქსიმალური მოსავალი მიიღონ.

- ინეგოლსა და შუახევს შორის ურთიერთობებს თითქმის 30-წლიანი ისტორია აქვს. მომავალში რა სიახლეებს უნდა ველოდოთ?

- ჩვენი ურთიერთობები მარტო ფესტივალებზე დასწრებით არ უნდა შემოიფარგლოს. ინეგოლის ყოფილ მერ ჯემალ არიქსას და შუახევის ყოფილი გამგებლის ანზორ გოგიტიძის მიერ დაწყებული მეგობრული ურთიერთობები გრძელდება. სახალხო დღესასწაულებზე ინეგოლელებს ვეპატიჟებით. საინტერესო იქნება მომავალი ურთიერთობების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.

- რამდენიმე თვეა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურას ხელმძღვანელობთ. ჩვენთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვაზე, რესტავრაცია-კონსერვაციაზე იზრუნებდით...

- განაცხადი პრაქტიკული საქმეებით დადასტურდება. მთავრდება კავიანის (ხიჭაურის) ციხეზე მისასვლელი ბილიკის, კლდისუბნის დასახლების ცენტრის კეთილმოწყობა. რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები შესრულდება ოთოლთას და ნიგაზეულის ციხეებზე. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამსახურთან საქმიანი ურთიერთობები გვაქვს. საქმეში ჩართულია აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტი. ყველა ისტორიული ძეგლი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი დაუყოვნებლივ მისახედია. ჩვენ თვალწინ იშლება ციხეების კედლები, თოვლიან ზამთარს ველარ გადაიტანს საკულტო შენობები. გოგლაურის (მთისუბნის) ციხესთან მისასვლელი კიბეები რომ გაკეთდა, მნახველთა რაოდენობა გაორმაგდა. შეიმჩნევა უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორების სიმრავლე.

- საუბარი იყო რიგი ტურისტული ობიექტების მშენებლობაზე. პროექტები რა სტადიაზეა?

- მთა ჩირუხში ორზოლიანი „ზიპლაინის“ გაკეთება იგეგმება. საქართველოში და უახლოეს ევროპულ ქვეყნებში არ აღმოჩნდა კომპანია, რომელიც ამ სამუშაოებს შეასრულებდა. დამკვეთი ორგანიზაცია და ჩვენც ძიების პროცესში ვართ. როგორც კი აღმოვაჩენთ სამუშაოების შემსრულებელს, მას შემდგომი ღონისძიებები მოჰყვება, ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის ათვისებას რაც შეეხება, იმედია, ამჯერად გამოჩნდება კომპანია, რომელიც 10 მილიონზე მეტი ლარის სამუშაოების შესრულებას ითავებს. ჯვარიმინდორზე ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ტურისტული ლოკაციების მოწყობის სამუშაოები სრულდება, ყურადღების მიღმა არც მთა ღომას ვტოვებთ. ამ ეტაპზე მთაში სპორტული სტადიონი და შიდა ქსელის ელექტროგაყვანილობა კეთდება. ეს ტერიტორია ყველაზე ახლოსაა შუახევის ცენტრთან, თანაც უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებია.

- მთა ღომაზე ქაოსური მშენებლობების ბუმია...

- იქ არის ტერიტორია, რომელიც რეკრეაციულ ზონადაა გამოცხადებული. გარემოს დამცველები ტყით დაფარულ ტერიტორიებზე შენობების ჩადგმას ზღუდავენ. სხვა ტერიტორიაზე მსურველებს წინააღმდეგობა რომ გავუწიოთ, ღომა აღარ განვითარდება. თუმცა, ჩვენი სურვილიცაა, ქაოსური მშენებლობები მთა ჩირუხშიც ნაკლებად იყოს.

- რა სტადიაზეა შუახევის სტადიონის რეკონსტრუქცია და კულტურის სახლის შენობის რესტავრაცია?

- ორივე პროექტი შუახეველთა საზრუნავ-საფიქრალი იყო. წლების წინ გაკეთებული სტადიონი ვერც სტანდარტებს აკმაყოფილებდა და სპორტული არენის სახეც არ ჰქონდა. იგი თანამედროვე ლამპიონებით განათდება, 500 მაყურებელზე ტრიბუნა მოეწყობა, დაიგება თანამედროვე, მაღალი ხარისხის ხელოვნური საფარი, იქნება საწვრთნელი ბაზაც. კონკურსში გამარჯვებული ფირმის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა სამუშაო პროექტის შესაბამისად მიმდინარეობს. ჩვენ და რეგიონის შესაბამისი სამსახურები მონიტორინგს ვახორციელებთ. კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ხელშეწყობით მიმდინარეობს. ვიმედოვნებთ, რომ „შუახევობის“ წლევანდელ ზეიმს კეთილმოწყობილ არენაზე გავმართავთ.

- 6 თვეზე მეტია, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 59-დან 68-კილომეტრამდე მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერებამ დისკომფორტი შექმნა. გამოსავალი რაშია?

- კომპანია „ზიმო 7“-მა შუახევში რამდენიმე პროექტი ხარისხიანად და ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში შეასრულა, გასული ზამთარი რომ დაიწყო, გზაზე სამუშაოები შეაჩერა და გაზაფხულიდან დაგვპირდა გაგრძელებას. მოვიდა გაზაფხული, მაგრამ კომპანიის მესვეურებმა სამუშაოების განახლების ნაცვლად, ტექნიკის გაყვანა დაიწყეს - სამუშაოების განახლება ველარ შეძლეს. კიდევ კარგი, რომ პროცესი დროში არ გაიწელა. ქვეყნის ხელისუფალმა სამუშაოებისთვის თანხა გამოყო და დამკვეთმა ორგანიზაციამ განახლებული კონკურსი გამოაცხადა. გამარჯვებული კომპანია უკვე ცნობილია და საქმესაც მალე შეუდგება. ყველა რესურსისა და შესაძლებლობის გამოყენება მართებთ, რომ კონკრეტულ დროში სამუშაოები დასრულდეს. რიგ შემთხვევაში, მონაკვეთზე ტრანსპორტს გადაადგილებისას შეზღუდვა ექნება - თითქმის ნახევარ კილომეტრზე კლდის ქანებია ჩამოსაჭრელ-დასანგრევი.

- მთიელი კაცის ცხოვრება ამინდზე დიდადაა დამოკიდებული, რაც წელს დამაიმედებელი არაა...

- უხვთოვლიან და ხანგრძლივ ზამთარს, ცივი და ნალექიანი გაზაფხული მოჰყვა. ფერმერებს ვერც ზაფხული აძლევს ხვავრიელი მოსავლის მიღების შანსს. ნისლი, ღრუბელი კარტოფილის, ვაზის, პომიდვრის, კიტრის დაავადებებს უწყობს ხელს. მევენახეთა ერთი ნაწილი უკვე მოსავლის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ბევრგან გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები საქმეს ვეღარ შველის. ისიც სათქმელია, რომ მთაში მაღალკვალიფიციური აგრონომების ნაკლებობაა, ვეტერინარებისაც, არადა, მთებში გასულ მეცხოველეებს მათი დახმარება, რეკომენდაციები სჭირდებათ.

- სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას დიდი ყურადღება ეთმობა...

- სკოლას, განათლების სისტემას ჩვენც და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. წელსაც სკოლამდელი დაწესებულების ორი ახალი შენობა შემოგვემატება. დაბის ცენტრში საჯარო სკოლა ხარაჩოებს ჩამოიხსნის და პედაგოგები, მათი აღსაზრდელები ახალმოსახლეობას იზეიმებენ. სოფელ დარჩიძეებში სკოლის ახალი შენობის პროექტი შესყიდულია. წელსვე დასრულდება ბარათაულის ამირან მამალაძის სახელობის საჯარო სკოლისა და სპორტული დარბაზის რემონტი. სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში გამართული ღონისძიებების მონაწილე ვარ. თითქმის ყველა ბაგა-ბაღში პატარების სკოლაში გაცილების ცერემონიებს დავესწარი. საგნობრივ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები მერიაში მოვიწვიეთ და დიპლომები, სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით.

- ზაფხული იმითაცაა გამორჩეული, რომ ქვეყანაში მოღვაწე სახელოვანი მწერლები, მსახიობები გვსტუმრობენ.

- პანდემიამ სახელოვანი ადამიანები მოგვანატრა. მახსოვს წლები, როცა თეატრალური დასები, მსახიობები, სახელოვანი მწერლები ჩამოდიოდნენ. ახლახან საქართველოს სახალხო არტისტი, 90 წელს მიტანებული ლეო ანთაძე ეროვნული ფილარმონიის გენერალურ დირექტორ ლადო ხელაშვილთან ერთად გვსტუმრობდა, მონოსპექტაკლები წარმოადგინა. აუდიტორიამ ცნობილი მსახიობი სიყვარულით მიიღო. აგვისტოს პირველ კვირას „შუამთობის“ სახალხო ზეიმის გამართვას ვაპირებთ. 10 წელი სრულდება საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალ „ზე-კართან“ წამოწყებიდან. იგი, სავარაუდოდ, სექტემბერში გაიმართება, მანამდე კიდევ ერთი სახალხო დღესასწაულია დაგეგმილი აჭარა-გურიის ქედზე. „ჯვარიმინდვრობის“ ფესტივალზე ოზურგეთიდან და სხვა კუთხეებიდან მოწვეული სტუმრები გვეყოლება. ცნობილი მეცნიერის, ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივით, ჩირუხის მიმდებარე „კუნტიჯვრის“ ტერიტორიაზე ჯვარი აღიმართა. შუახეველი ახალგაზრდების მოთხოვნაა, ამ სიახლის აღსანიშნავად საზეიმო სვლა მოეწყოს, რაც გათვალისწინებულია. აგვისტოში „კუნტიჯვარობა“ აღინიშნება.

- აღმასრულებელ სტრუქტურებში კადრების მონაცვლეობის პროცესი დაწყებულია...

- მერიაში 5 ახალი განყოფილება შეიქმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესებას. ყველა თანამშრომელი საკონკურსო შერჩევით მოვიდა. კადრების მონაცვლეობა შეუქცევადი პროცესია, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას აღარ ვაპირებთ.

ისტორიულ სიმართლეს დავჯერდეთ...

საზოგადოებაში გაჩნდა ვერსია და ზოგიერთ მეჩეთზე წარწერაც, რომ ამჟამად ჭვანა-ვარჯანაულში არსებული მეჩეთი 1780 წელსაა აგებული. ფაქტის გასარკვევად კომენტარი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ფუტკარაძეს ვთხოვეთ

- ისლამის გავრცელება აჭარაში ოსმალთა ბატონობას უკავშირდება. მე-16 საუკუნის შუა ხანებიდან აჭარა მოექცა მათი ბატონობის ქვეშ. იგი სხვადასხვა დროს შედიოდა ჩილდირის, ყარსის, გურჯისტანის ვილაეთების შემადგენლობაში. შესაბამისად, იყო დამპყრობთა შეტაკებების ასპარეზი. მოსახლეობა ცდილობდა ოსმალო დამპყრობლებისაგან გათავისუფლებას, რაზეც მეტყველებს 1680, 1685, 1697, 1739-1740, 1770, 1815, 1830, 1852 წლების აჯანყებები. ოსმალებმა დაპყრობილ რეგიონში დანერგეს ქართულ ფეოდალურ სისტემასთან ადაპტირებული სამხედრო-ლენური სისტემა. უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნემდე ოსმალთა ბატონობა ატარებდა ნომინალურ ხასიათს და ისლამის გავრცელებასაც დაბალ ფენებში არ ჰქონია ფართო ხასიათი. პირველ ეტაპზე ოსმალები ატარებდნენ შემწყნარებლურ რელიგიურ პოლიტიკას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთი ინტერესდება კავკასიით და მოიწევს ოსმალეთის საზღვრებისაკენ, დამპყრობელი ამკაცრებს რელიგიურ პოლიტიკას. ოსმალეთს ეშინოდა, რომ ქრისტიანული რუსეთის წინსვლა საფრთხეს უქმნიდა მათ ბატონობასა და სიძლიერეს. ამიტომ დაიწყო მოსახლეობის ისლამიზაციის დაჩქარებული პოლიტიკის გატარება, რათა რელიგიაშეცვლილი ქართველები დაეპირისპირებინა მისთვის. სწორედ ამ მიზანს ისახავდა მე-19 საუკუნის დასაწყისში გატარებული რეფორმების მთელი ტალღა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში თანზიმათის სახელით არის ცნობილი. მოსახლეობის გამუსულმანებისთვის ოსმალები ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასთან ერთად ეკონომიკური იძულების ბერკეტებსაც მიმართავდნენ. მიწას აძლევდნენ მას, ვისი შვილიც მსახურობდა ოსმალურ ჯარში, მაგრამ ჯარში მიიღებოდა მხოლოდ მუსულმანი. ოსმალებმა დააწესეს გადასახადები ხილზე, მაგრამ ვენახზე დააწესეს ცალკე გადასახადი, რადგან იგი ღვინოსთან ასოცირდებოდა. გადასახადებს შორის იყო საქონლის გადასახადიც, მაგრამ ღორზე დააწესეს ცალკე გადასახადი და სხვა. ისლამი პირველად გაბატონებულ ფენებში მკვიდრდებოდა. ოსმალები მიწებით, თანამდებობებით და სხვა პრივილეგიების მინიჭებით ახერხებდნენ მათ მოსყიდვას. სწორედ ოსმალებისადმი მორჩილება და სამსახური გახდა ზოგიერთი საგვარეულოს წარმომადგენლისთვის ბეგობის მინიჭების საფუძველი (ცხადია, იყვნენ პატრიოტი ბეგებიც). სწორედ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება პირველი მეჩეთებიც აჭარაში. უძველეს მეჩეთად მიჩნეულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს მეჩეთი, რომელიც 1817-1818 წლებში აიგო. დიდაჭარის მეჩეთი უფრო გვიან - მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აიგო, მაწყვალთის - 1842-1843 წწ, ჯაბნიძეების - 1892-1893 წწ, ქიძინიძეების - 1867 წელს და ასე შემდეგ. უნდა ითქვას, რომ ყველაზე გვიან გამუსლიმანდა ღორჯომი, რომელიც ბოლომდე იბრძოდა ოსმალური მოძალებისა და ისლამიზაციის წინააღმდეგ. მეჩეთების მშენებლობა კიდევ უფრო გაძლიერდა ოსმალთა ბატონობის დასრულების შემდეგ, როცა აჭარა რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. ცარიზმმა აჭარის მოსახლეობა არ მიიღო ქართველებად მაშინ, როცა ოსმალები მათ გურჯებად მიიჩნევდნენ. ამან განაპირობა შეურაცხმყოფელი ეთნონიმების მიწებება მკვიდრი მოსახლეობისთვის. მუჰაჯირობის სახელით ცნობილი გადასახლებებიც რუსეთის და ოსმალეთის შეთანხმებული პოლიტიკის ნაწილი იყო, რადგან ოსმალეთი მუჰაჯირების გადასახლებით რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტას ცდილობდა: საკუთრივ, ხელი შეეწყობოდა ოსმალეთის სამეურნეო და დემოგრაფიულ ათვისებას, ასევე, რუსეთთან შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში, მუჰაჯირები განიხილებოდნენ როგორც ოსმალეთის დასაყრდენი ძალა. რუსების მიზანი კი იყო აჭარის დაცლა მკვიდრი მოსახლეობისაგან და მხარის კოლონიზაცია რეგიონში სლავური ელემენტების ჩამოსახლებით. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მუჰაჯირობის პროცესს ხელი შეუწყო გამაჰმადიანებულმა გამყიდველმა ხოჯა-მოლების დიდმა ნაწილმა. მხოლოდ ერთეულები (ლომან-ეფენდი ქარცივაძე, ახმედ ხალიფაშვილი და სხვები) გამოვიდნენ ხალხის მასობრივი გადასახლების წინააღმდეგ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

საინტერესო პროექტი ახალგაზრდებისთვის – „გზა წარმატებისკენ“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ორ წელზე მეტია, რაც კოვიდ-19 დიდი გამოწვევა გახდა მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით დიდია მისი გავლენა ბავშვების განვითარებაზე

პანდემიამ შეამცირა მათთვის არაფორმალური განათლების მიღებისა და ცხოვრებისეული უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობა. ონლაინსწავლის შემდეგ მოსწავლეებს უჭირთ სოციალური ადაპტაცია. ისინი არ/ვეღარ არიან ჩართულნი ახალგაზრდულ პროექტებში ისეთი რიცხოვნობით, როგორიც პანდემიამდე იყო. უთუოდ მნიშვნელოვანი და საჭირო ახალი პროექტი - „გზა წარმატებისკენ“ - განხორციელდა ახალგაზრდებისთვის, რომლის ავტორია საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის ლიდერი მაია ბერიძე. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და გუნდის დახმარებით, მან შეძლო მოეპოვებინა მერიის ფინანსური მხარდაჭერა და შეიქმნა ეს პროექტი. მისი მიზანია ახალგაზრდებში იმ პრობლემების აღმოფხვრა, რაც მოიტანა პანდემიამ და ინტერესის გაზრდა სხვადასხვა საჭირო თემის მიმართ.

- ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდული პროექტები, განსაკუთრებით, ტრენინგი, სადაც მონაწილეებს აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია თანატოლებთან და შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მათთვის აქტუალური საკითხის შესახებ, - გვითხრა მაია ბერიძემ, - მსგავსი ტრენინგის დროს მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნას, ემოციებსა და გრძნობებს. სხვადასხვა სემინარში, დებატებსა და აქტივობაში ჩართვით, ბავშვები იუმჯობესებენ ცხოვრებისეულ უნარებს. იმდენად, რამდენადაც ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდებისთვის, გადავწყვიტეთ მათთან ყველაზე აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრა. ამისთვის 25-ზე მეტი თემა შევარჩიეთ, რომლებიც პროექტის ფარგლებში განვიხილეთ, მათ შორის, „ჰიგიენა და სანიტარია“, „კოვიდ-19“, „ეკოლოგია“. ვფიქრობ, დღეს ადამიანები უნდა გრძნობდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაზე არა მხოლოდ უშუალოდ დაავადებების გამოჩენის შემთხვევაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში. პროექტის მიზანიც სწორედ ეს იყო - მიგვეწვდინა ხმა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისათვის, ინფორმაცია და მოტივაცია მიგვეცა მათთვის, რათა შემდგომ თანატოლებში, მათ თემში, სკოლებსა თუ ოჯახებში გაევრცელებინათ ტრენინგებზე მოსმენილი ინფორმაციები. ტრენინგები გაიმართა ბოტანიკურ ბაღსა და „პიაცაზე“, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ ადმინისტრაციებს.

პროექტის მეორე დღეს, მონაწილეების ინიციატივით, დასუფთავდა ზღვისპირა სანაპირო ზოლის კონკრეტული ტერიტორია. მოზარდებმა მოუწოდეს საზოგადოებას, დაიცვან ბუნება, გარემო, ადამიანები, სამყარო.

სეზონი გაიხსნა

ოთარ ციცარიძე 599 85 21 14

გუშინ სამთო კურორტ ბეშუმში ზაფხულის სეზონი საზეიმოდ გაიხსნა

როგორც ა(ა)იპ „ბეშუმის“ დირექტორმა ემზარ ბოლქვაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, წელსაც მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა მოაგარაკეთა ნორმალური დასვენება-გართობისთვის.

დამსწრე საზოგადოებას ზაფხულის სეზონის გახსნა მიულოცეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ანზორ ბოლქვაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯუმბერ აბაშიძემ. ხულოს კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა („ღორჯომი“, „ციცინათელა“, „ხულო“, „სხალთა“, ინდივიდუალური შემსრულებელი რამაზ ფარსანიძე) თავიანთი ხელოვნება აჩვენეს.



მოეწყო ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრების, ხალხური რეწვისა და სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა. სტუმრებმა ადგილობრივი კულინარიის კერძებიც დააგემოვნეს.

პოეტის საიუბილეო საღამო

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

წლებია, ქართულ პოეზიას ნაყოფიერი შემოქმედებით ამდიდრებს ქედაში მოღვაწე პოეტი ანზორ ლორთქიფანიძე

ქედის ბიბლიოთეკის და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, მას საიუბილეო საღამო მოუწყვეს.

პოეტს იუბილე და ლექსების კრებულის ერთტომეულის გამოცემა მიულოცეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანზორ ბოლქვაძემ და სხვებმა.

ღონისძიებას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ლევან გორგილაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის პოეტის ახალი კრებულის გამოცემაში.

ანზორ ლორთქიფანიძის პირველი ლექსი 1966 წელს დაიბეჭდა. შემდეგ მრავალი ლექსი, სამეცნიერო ნაშრომი გამოსცა, სისტემატურად იბეჭდება მისი ნაწარმოებები ჟურნალ-გაზეთებში. არის ავტორი კრებულებისა „დედასავით ერთადერთო“ და „ლექსები“. 2022 წლიდან საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია.

საიუბილეო საღამო მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა, ნორჩმა დეკლამატორებმა, კვარტეტმა „ელესამ“ გაალამაზეს.

ანზორ ლორთქიფანიძემ სტუმრებს ავტოგრაფით საჩუქრად გადასცა თავისი ახალი კრებულიც.

უკრაინა

რუსეთი ოფიციალურად უნდა იქნას აღიარებული ტერორისტულ სახელმწიფოდ, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რითაც ვინიცაზე რუსეთის სარაკეტო თავდასხმას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა. მისი თქმით, მსოფლიოში არცერთი სახელმწიფო არ წარმოადგენს ისეთ ტერორისტულ საფრთხეს, როგორსაც რუსეთი. „მსოფლიოს არცერთი სახელმწიფო არ აძლევს თავს უფლებას, ყოველდღე გაანადგუროს მშვიდობიანი ქალაქები და ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება ფრთოსანი რაკეტებით და არტილერიით“, - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ქალაქ ვინიცაზე სარაკეტო თავდასხმის შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ათ წლამდე ასაკის სამი ბავშვი და ეს, ჯერჯერობით, საბოლოო რიცხვი არ არის, რადგან ნანგრევების გაწმენდა მიმდინარეობს. „ვინმეს რომ სარაკეტო თავდასხმა, ღმერთმა ნუ ქნას და, დალასში ან დრეზდენში მოეწყო, რა დაერქმეოდა, ტერორიზმი, არა? ტერორი ვირუსია და თუ რომელიმე ტერორისტი დაუსჯელი დარჩება, ეს მხოლოდ ამხნევებს სხვებს“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

რუსული და ე. წ. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის პრორუსული სეპარატისტული ძალები აცხადებენ, რომ უკრაინის დონბასის რეგიონის სივერსკის შემოგარენში შევიდნენ, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ყოველდღიურ ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, რუსული ძალები ნელ-ნელა მიიწევენ დასავლეთისკენ და ახორციელებენ თავდასხმებს ლისიჩანსკიდან სივერსკის მიმართულებით, რათა გახსნან გზა სლოვიანსკისა და კრამატორსკისკენ. „ბახმუტი, სავარაუდოდ, შემდეგი მიზანი იქნება, როგორც კი სივერსკი იქნება გარანტირებული“, - ნათქვამია ანგარიშში. ამასთან, „ომის შესწავლის ინსტიტუტის“ ცნობით, რუსეთი, სავარაუდოდ, ამზადებს უფრო ფართომასშტაბიან შეტევას სლოვიანსკი-სივერსკი-ბახმუტის ხაზის გასწვრივ. ამერიკულმა ანალიტიკურმა ცენტრმა განაცხადა, რომ რუსეთი აგრძელებს საბრძოლო პაუზას, რადგან, სავარაუდოდ, ახორციელებს მზადებას უფრო გადამწყვეტი შეტევისთვის.

* * *

გენერალური მდივანი შეძრწუნებულია უკრაინაში ქალაქ ვინიცაზე განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის გამო, - ამის შესახებ გაეროს გენერალურ მდივან ანტონიო გუტერეშის განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც მისი პრესსპიკერი ავრცელებს. „გენერალური მდივანი გმობს ნებისმიერ თავდასხმას მშვიდობიანი მოსახლეობის ან სამოქალაქო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ და კიდევ ერთხელ მოუწოდებს ასეთი დარღვევების გამო პასუხისმგებლობისკენ“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

ბრძოლის ველზე უკრაინის სასარგებლოდ სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა Financial Times-ს განუცხადა. „ამ წლის ბოლომდე, ბრძოლის ველზე უკრაინის სასარგებლოდ, სერიოზული ცვლილებები იქნება. ვიმედოვნებ, მიმდინარე წელს ვნახავთ კონტრშეტევით ოპერაციას და ის წარმატებული იქნება“, - განაცხადა მინისტრმა. რეზნიკოვის თქმით, უკრაინა შორი მანძილის მეტ სისტემას მიიღებს, კონკრეტულად HIMARS-ის ზალპური ცეცხლის ამერიკულ რეაქტიულ სისტემებს, რომლებმაც მინისტრის შეფასებით, „უკვე შეცვალეს თამაშის წესები ომში“.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

საარსებო მინიმუმი რეკორდულ – 255 ლარამდე გაიზარდა

2022 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 10,2 ლარით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, გასულ თვეს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 255,3 ლარს შეადგენდა მაშინ, როცა 2022 წლის მაისში ეს მაჩვენებელი 245,1 ლარი იყო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2022 წლის ივნისში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 40,8 ლარით არის გაზრდილი. 2021-ის ივნისში საარსებო მინიმუმი 214,5 ლარს შეადგენდა. ამასთან, ივნისში მაისთან შედარებით 9,1 ლარით გაიზარდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმიც და 217 ლარის ნაცვლად 226,1 გახდა. რაც შეეხება შარშანდელ ანალოგიურ პერიოდს, 2021-ის ივნისში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 190 ლარს შეადგენდა.

ცნობისთვის: *საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას.*

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/07/22, 21 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ვარსკვლავს ვარსკვლავი გაუხსნეს

რევაზ ჩელებაძე პირველი ფეხბურთელია, რომლის ვარსკვლავი ამშვენებს ბათუმის ახალ სტადიონს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

„აჭარაბეთ არენაზე“ გაიხსნა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის რევაზ ჩელებაძის სახელობითი ვარსკვლავი. მისი სახელი კარგადაა ცნობილი სპორტულ სამყაროში. ქართველი თავდამსხმელი სხვადასხვა დროს იცავდა თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიის“, ბათუმის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ღირსებას. 1978 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, იყო საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი, ფინალისტი, 1981 წელს - თასების მფლობელთა თასის მფლობელი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. 1980 წელს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. „ჩელემ“, როგორც მას სიყვარულით ეძახიან, მთელი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში 255 შეხვედრაში 114 გოლი გაიტანა.

ძველი თაობის გულშემატკივარს კარგად ახსოვს მის მიერ უნიკალური სტილით შესრულებული თერთმეტმეტრიანები, რომელიც „ჩელეს პენალტითაა“ ცნობილი. 2012 წელს ქობულეთში გახსნილი სტადიონი რევაზ ჩელებაძის სახელს ატარებს.

როგორც აღვნიშნეთ, ბატონი რეზო პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომლის ვარსკვლავიც გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით ბათუმში ჩვენი საამაყო ქართველი ფეხბურთელების მთელი კოჰორტა ჩამოვიდა, რომელთა შორის იყვნენ ვლადიმერ გუცაევი, ალექსანდრე ჩივაძე, ნუკრი კაკილაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, დავით მუჯირი (უფროსი), ლევან ნოდია.

- ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება ახლა ჩემს გულში. მე ვარ უბედნიერესი ადამიანი, რომელსაც უდიდესი ვარსკვლავების ქვეყანაში პირველი ვარსკვლავი გაუხსნეს. მერე ბევრს გაუხსნიან და აქ გაკეთდება ვარსკვლავების ხეივანი. ეს დაიწყო და ძალიან კარგია. მადლობა „აჭარაბეთს“, აჭარის მთავრობას, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმეში. სიტყვებს ვერ ვუყრი თავს. დღეს უბედნიერესი ვარ. ჩემს საქართველოს ვენაცვალე, ჩემ აჭარას, რომ ის პატარა წვლილი, რაც ქართულ ფეხბურთში შემიტანია, დღეს ასე დამიფასდა. უფალი გფარავდეთ ყველას. მადლობა, - თქვა რეზო ჩელებაძემ ვარსკვლავის გახსნის შემდეგ.

- სახელოვანი ფეხბურთელის და ღირსეული მოქალაქის, არაჩვეულებრივი პიროვნების ვარსკვლავის გახსნა, მართლაც ისტორიული დღეა ჩვენი ქალაქისთვის ვულოცავ მას და მსურს, რომ მან ჩვენთან ერთად დიდხანს უგულშემატკივროს, პირველ რიგში, ბათუმის „დინამოს“ და, რა თქმა უნდა, ქობულეთის „შუქურას“, - თქვა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ.

- დიდი ხანი ვმუშაობდით ამ იდეაზე, მას შემდეგ, რაც სტადიონი გაიხსნა. ბათუმისთვის, აჭარისთვის, მთელი ქვეყნისთვის რეზო ჩელებაძე არის მოვლენა არა მარტო სპორტული თვალსაზრისით, არამედ მთელი მისი ცხოვრებით. თავისი საქმიანობით მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ ქალაქის პოპულარიზაციაში და სასიხარულოა, რომ დღეს, ამ მნიშვნელოვანი მატჩის წინ, გავხსენით მისი ვარსკვლავი. ეს ახალგაზრდებსაც დიდ სტიმულს მისცემს და შეეცდებიან, მათაც ჰქონდეთ ისეთივე წარმატებები, როგორიც თავის დროზე ჩვენს „ოქროს ბიჭებს“ ჰქონდათ გასული საუკუნის 80-იან წლებში, - აღნიშნა ბატონმა რეზო ჩელებაძის ვარსკვლავი და ამით ერთგვარ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. „აჭარაბეთის“ იდეა იყო აქ მისი ვარსკვლავის გახსნა. ჩვენი სურვილია, აქვე გაკეთდეს „ვარსკვლავთა ხეივანი“. აჭარის მთავრობას ძალიან მოეწონა ჩვენი იდეა და გვერდით დაგვიდგა ამ შესანიშნავ საქმეში, - გვითხრა „აჭარაბეთის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინი გუჯაბიძემ.

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- ძალიან კარგია, რომ დღეს ასეთი რამ გაკეთდა, ადამიანები სიცოცხლეში უნდა დავაფასოთ და ვაღიაროთ მათი წვლილი, - გვითხრა საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დათო ოქიტაშვილმა.

- ძალიან კარგი გადაწყვეტილება მიიღო აჭარის ხელმძღვანელობამ და მისასალმებელია, რომ ეს ტრადიციად დაინერგება. მიხარია, რომ, პირველ რიგში, სახელობითი ვარსკვლავი რეზოს მიუძღვნეს, ეს ჯილდო მან ნამდვილად დაიმსახურა. იმდენი გააკეთა ფეხბურთში, რომ მთელ საქართველოს ახსოვს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში რომ იკითხო, ჩელებაძეს იცნობენ თუ არა, მას ყველა აღტაცებით გაიხსენებს. დიდი მადლობა „აჭარაბეთს“, ეს მათი იდეა იყო და მათი წვლილი დიდია ამაში. კარგია, რომ ვარსკვლავი ბათუმელთა მთავარ არენაზე გაიხსნა. ბათუმის „დინამო“ დღეს ის გუნდია, რომელსაც მთელი საქართველო გულშემატკივრობს, ფაქტობრივად, იგი გახდა ქართული ფეხბურთის ლიდერი. ვინც შეძლო, ყველა ჩამოვიდა, ჩვენ მის გვერდით ვართ ყოველთვის, რადგან ძალიან გვიყვარს, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ცნობილმა ფეხბურთელმა ვლადიმერ გუცაევმა.

- დღეს „აჭარაბეთ არენაზე“ გაიხსნა ბატონი რეზო ჩელებაძის ვარსკვლავი და ამით ერთგვარ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. „აჭარაბეთის“ იდეა იყო აქ მისი ვარსკვლავის

თუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- ძალიან კარგია, რომ დღეს ასეთი რამ გაკეთდა, ადამიანები სიცოცხლეში უნდა დავაფასოთ და ვაღიაროთ მათი წვლილი, - გვითხრა საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დათო ოქიტაშვილმა.

- ძალიან კარგი გადაწყვეტილება მიიღო აჭარის ხელმძღვანელობამ და მისასალმებელია, რომ ეს ტრადიციად დაინერგება. მიხარია, რომ, პირველ რიგში, სახელობითი ვარსკვლავი რეზოს მიუძღვნეს, ეს ჯილდო მან ნამდვილად დაიმსახურა. იმდენი გააკეთა ფეხბურთში, რომ მთელ საქართველოს ახსოვს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში რომ იკითხო, ჩელებაძეს იცნობენ თუ არა, მას ყველა აღტაცებით გაიხსენებს. დიდი მადლობა „აჭარაბეთს“, ეს მათი იდეა იყო და მათი წვლილი დიდია ამაში. კარგია, რომ ვარსკვლავი ბათუმელთა მთავარ არენაზე გაიხსნა. ბათუმის „დინამო“ დღეს ის გუნდია, რომელსაც მთელი საქართველო გულშემატკივრობს, ფაქტობრივად, იგი გახდა ქართული ფეხბურთის ლიდერი. ვინც შეძლო, ყველა ჩამოვიდა, ჩვენ მის გვერდით ვართ ყოველთვის, რადგან ძალიან გვიყვარს, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ცნობილმა ფეხბურთელმა ვლადიმერ გუცაევმა.

- დღეს „აჭარაბეთ არენაზე“ გაიხსნა ბატონი რეზო ჩელებაძის ვარსკვლავი და ამით ერთგვარ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. „აჭარაბეთის“ იდეა იყო აქ მისი ვარსკვლავის

გახსნა. ჩვენი სურვილია, აქვე გაკეთდეს „ვარსკვლავთა ხეივანი“. აჭარის მთავრობას ძალიან მოეწონა ჩვენი იდეა და გვერდით დაგვიდგა ამ შესანიშნავ საქმეში, - გვითხრა „აჭარაბეთის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინი გუჯაბიძემ.

ვულოცავთ სახელოვან ფეხბურთელს ამ დიდ აღიარებას. რეზოს სიხარული მთელმა აჭარამ (არა მხოლოდ) გაიზიარა. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ ამ არაჩვეულებრივ, ყველასგან ბევრი რამით გამორჩეულ ადამიანს.

სიხარულს თუ ვიზიარებთ, წაგების ტკივილიც გავინაწილოთ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

13 ივლისს ბათუმის „დინამომ“ სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა - უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა გამართა ბრატისლავას „სლოვენთან“ და დამატებით ტაიმში შეხვედრა ანგარიშით - 2:1 დათმო. ამ გუნდების პირველი თამაში ყაიმით - 0:0 დამთავრდა

ეს იყო ძალიან საპასუხისმგებლო მატჩი, მაყურებლებისთვისაც მნიშვნელოვანი, რადგან ასეთი მაღალი რანგის შეხვედრა - ევროთასზე, ჩვენთან პირველად გაიმართა. ბათუმელებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ბრატისლაველების დამარცხება სჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ „აჭარაბეთ არენაზე“ უამრავი მაყურებელი მივიდა, სტადიონზე, ძირითადად, თეთრი და ლურჯი ფერი სჭარბობდა. არც გულშემატკივრობა აკლდა ჩვენს გუნდს, არც მაყურებელი და არც სტადიონზე შექმნილი საზეიმო განწყობა - „შავი ზღვის პირატები“, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იყო და მაყურებელიც აიყოლია. ერთი სიტყვით, „აჭარაბეთ არენაზე“ ყველაფერი მზად იყო მატჩის მოსაგებად... 13 ივლისი არ აღმოჩნდა ჩვენი დღე, უიღბლობაში ცოტა მსაჯებიც წაგვეხმარნენ და...

გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო, სწორედ დამატებით დროში გავიდა სამივე ბურთი. 104-ე წუთზე სტუმართა კარში გოლი ზურიკო დავითაშვილმა გაიტანა. მეორე დამატებით ტაიმში ტიგრან ბარსეგიანმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 123-ე წუთზე ვლადიმერ ვაისმა ბურთი კუთხურიდან პირდაპირ ჩვენ კარში ჩაახვია.

წაგება ყოველთვის დასანანია, მით უმეტეს, რომ გუნდმა კარგად ითამაშა, თუმცა ეს სპორტია, ზოგი იგებს, ზოგიც - აგებს. უბრალოდ, ტრაგედია არ უნდა შეგქმნათ ამის გამო - სიხარულს თუ ვიზიარებთ, წაგების ტკივილიც გავინაწილოთ. ხშირად წაგება ახალი შემართების, წარმატების საწინდარია, რაც, მჯერა, აუცილებლად არაერთი ექნება ბათუმის „დინამოს“. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებიდან გამოთიშვის შემდეგ, „დინამო“ ბათუმი კონფერენს-ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე აგრძელებს ასპარეზობას. მისი მეტოქე პოლონეთის ქალაქ პოზნანის გუნდია - „ლეხი“. პირველი შეხვედრა პოზნანში გაიმართა - 21 ივლისს, საპასუხო მატჩს კი 28 ივლისს „აჭარაბეთ არენა“ უმასპინძლებს.

სხვათა შორის, „ლეხში“ ორი ქართველი ფეხბურთელი - ნიკა კვეკვესკირი და გიორგი წიტაიშვილი თამაშობს. გასულ სეზონში ეს გუნდი პოლონეთის ჩემპიონატში პირველ ადგილზე გავიდა.

სოფიკო ტერელაძე ევროპის ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

პოლონეთის ქალაქ ლუბლინში ჩატარებულ სენიორთა შორის ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა მოჭადრაკე სოფიკო ტერელაძემ წარმატებით იასპარეზა და ჩემპიონობა მოიპოვა. ღონისძიება ორ კატეგორიად - 50+ და 65+ ჩატარდა და მასში ევროპის 15 ქვეყნიდან 61 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირები შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართა და მისი საპრიზო ფონდი 6 000 ევროს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ სოფიკო ტერელაძემ 9-დან 5,5 ქულით ქალთა შორის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა, ხოლო მამაკაცთა შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. ვულოცავთ სოფიკოს ამ გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!

15 ივლისის სატრანსფერო სიახლეები



მიუნხენის „ბაიერნმა“ მადრიდის „რეალს“ ლეროი სანე შესთავაზა. მადრიდელები ჯერ ფეხბურთელების გასხვისებით არიან დაკავებულნი და მოთამაშეთა დამატებაზე არ ფიქრობენ. სანეს კონტრაქტი 2025 წელს ეწურება. გასულ სეზონში გერმანელმა ბუნდესლიგაში 32 მატჩი ჩაატარა, მის ანგარიშზე 7 გოლი და 7 შედეგიანი გადაცემაა.

ბრაზილიურმა „ბოტაფოგომ“ „რეალს“ 18 წლის მათეუს ნასიმენტოს კანდიდატურა შესთავაზა. ახალგაზრდა ფორვარდს მეტსახელად პატარა კავანის უწოდებენ. ჟურნალისტ სამუელ პეინის ცნობით, ფლორენტინო პერესი მზადაა, ნიჭიერი შემტევი გაიფორმოს. ნასიმენტოს გამოსასყიდი 50 მილიონ ევროს შეადგენს.

მადრიდის „ატლეტიკო“ და მიუნხენის „ბაიერნი“ კრიშტიანო რონალდოსთვის იბრძოლებენ. ESPN-ის ცნობით, „ჩელსიმ“ პორტუგალიელი სუპერვარსკვლავის დამატებაზე უარი განაცხადა. „იუნაიტედის“ მოთამაშეს ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლა სურს, ამ მიზეზით კი არაბული გუნდის შეთავაზება დაბლოკა. გასულ სეზონში რონალდო მანკუნიანელთა გამორჩეული მოთამაშე იყო, ყველა ტურნირზე ჯამში 38 მატჩი ჩაატარა, 24 გოლი და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

იტალიური „რომა“ პაულო დიბალას დამატებას ცდილობს. ფეხბურთელი პირადად ჟოზე მოურინიოს სურს. „დედაქალაქელები“ არგენტინელს 4-წლიან კონტრაქტს და ხელფასის სახით 6 მილიონ ევროს სთავაზობენ. „იუვენტუსის“ ყოფილი მოთამაშის დამატება „ინტერს“ სურდა, თუმცა ლუკაკუს იჯარით აყვანის შემდეგ მოლაპარაკებები შეწყდა. დიბალა ამჟამად თავისუფალი აგენტია.

ამირან გურიელიძე